ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 7 ივნისი, 2013 | №133 (6134) | ფასი: 30 თეთრი

6 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი
ტომი 2
8 ლარი
ალექსანდრე ბატონიშვილი



ბათუ საღინაძე: „ლევან კალაძის მკვლელები რომ არ მეპოვა, 7 წლით ციხეში ჩამსვეს“

ყოფილი პოლიტპატიმარი, ლევან ჯალაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმის გამომძიებელი, პოლკოვნიკი ბათუ საღინაძეც სააკაშვილის ხელისუფლების მსხვერპლია და იმ მოვალეობებზე, ომელიც ხელახლა გამოსაძიებელი, მისი საქმეც არის. ცნობილმა გამომძიებელმა 70 წლის ასაკში 7 წელი ციხეში გაატარა. პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის თაობაზე არაერთხელ დანერილა, მაგრამ ამ ინტერვიუში მკითხველი მისი პატიმრობის წლებსა და გახმაურებულ საქმეებზე, ომელსაც ის იძიებდა, ბევრ ახალ დეტალს გაიგებს.

გვ.5

ვინ ემუქრება თალიბების სახელით სააკაშვილს

გვ. 2

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „ფარული ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით პოზიციას ექსპერტებთანაც შევაჯერებთ“

გვ.3

ნაციონალები ფარული ჩანაწერების განადგურებას ითხოვენ

აკაკი ასათიანი: „ივანიშვილმა დაპირებების შესრულება უნდა დაიწყოს“

გვ.2

ავღანეთში ქართველი სამხედროები დაიღუპნენ

გვ.5

„ბატონ ივანიშვილს ვურჩევდი, შეეშვას პირად შუღლს და უაზრო შურისძიებებს!“

გვ.6

გვ.6

ხელისუფლება ნაციონალებს 2 მლნ 400 ათასი ლარით აფინანსებს

4 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
კოტე მარჯანიშვილი
4 ლარი

ISSN 1987-9385

2 „ამერიკელი ქართველების“ თვალით დანახული 17 მაისი

5 ამნისტიის კანონით სულ 8 696 ბრალდებულია გათავისუფლებული

3 რუსებმა ოკუპაციის შესახებ კანონის გაუქმება მოგვთხოვეს

6 ახალი შრომის კოდექსის ვარიანტით ბიზნესი ისევ უკმაყოფილოა?

აკაკი ასათიანი: „ივანიშვილმა დაპირებების შესრულება უნდა დაიწყოს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ტრადიციონალისტთა ლიდერ აკაკი ასათიანთან

– ბატონო აკაკი, მოდით, შევაფასოთ რუსულ-ქართული ურთიერთობები. რუსული მხარის თავხედური საქციელის მიუხედავად, მოლაპარაკებები მაინც გრძელდება. შედეგი ექნება ამ ყველაფერს?

– ერთ რამეს გეტყვით, 25 წელი გავიდა თითქმის, 1991 წელს მეც მომიწია შეხება საბჭოთა ხელმძღვანელობასთან, მერე აღარ მქონია ეს ურთიერთობები... ისინი არ იყვნენ უჭკუო ხალხი, მაგრამ მათი ეს დამოკიდებულება საბჭოეთში შემავალი ხალხის, საბჭოთა კავშირი ერქმეოდა თუ რუსეთის იმპერია, იმდენად გამჯდარი აქვთ, გონიერი ადამიანებიც კი თითქოს კარგავენ ობიექტურობის გრძნობას. სხვათა შორის, სწორედ ამან დაშალა საბჭოთა კავშირი, რომ აბრალებენ ამას ამერიკას, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, გორბაჩოვს, შევარდნაძეს, გამსახურდიას – ყველას აბრალებენ, ვისაც გინდათ, გარდა თავისი თავისა. ახლა, მაგალითად, გადაცემების ციკლი იყო, რომ ეს გორბაჩოვმა ქნა. თითქოს ერთ კაცს შეეძლო ამხელა იმპერიის დანგრევა. ეს ქნა მათმა არაადეკვატურობამ. მე ვფიქრობ, რომ დღესაც ამასთან გვაქვს ჩვენ საქმე. გამოგიტყდებით და მე მეგონა, ამ ახალი არჩევნების შედეგად, როცა რაღაცა ნორმალურ კალაპოტში გადავიდა ეს ამბავი, მართალია, არ გაუმჯობესებულა მდგომარეობა, მაგრამ ეს რაღაცა პრიმიტიული და მდაბიო ლანძღვა-გინების დონეზე პოლიტიკის წარმოება შეწყდა. დაისახა ახალი გეგმა, დაინიშნა სპეციალური წარმომადგენელი, რამაც ხაზი გაუსვა, რომ ურთიერთობის მოწესრიგება გვინდა. ეს არაერთხელ ითქვა და თანაც გულწრფელად. იქ ბორჯომი, ღვინო – ეს არაფერი არ იყო, მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხი იყო და ეს მაინც უნდა გაეკეთებინათ და ჩვენ ვხედავთ რაღაცნაირი, კლოუნადის სახე აქვს ამ ყველაფერს.

– დასავლეთის პოზიციებიც არ არის მკვეთრი...

– ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოზიციასაც კარგად ვხედავთ, ეუბნებიან ახალ ხელისუფლებას, რომ შეაგინე პუტინს, რუსული მხარე კი ეუბნება შეაგინე ნატოს... აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ. რა დავარქვა რუსეთის ამ ქმედებას, თავხედურიც კი არ არის, არაადეკვატურია, მე ვფიქრობ. არაადეკვატურია, მაგრამ ეს არის მოცემულობა, რომელიც გამომდინარეობს ამ დამოკიდებულებიდან. ვერ გათავისუფლდნენ ისინი ამ დამოკიდებულებისაგან და ამას ალბათ კიდევ ერთი-ორი თაობა დასჭირდება. მათ თავის დროზე ჩვენი დამოუკიდებლობა ჩათვალეს ღალატად. ახლაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის ხდება. მართალია, ერთი დიდია, მეორე პატარა, ეს სიდიდე მას უპირატესობას ანიჭებს. იგივე შეერთებული შტატები ავიღოთ, ის რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს, მას უპირატესობა მაინც აქვს ბევრ ქვეყანასთან. რუსეთი თვლის, რომ უკვე 7-8 თვე გავიდა და ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მათი გული მოიგოს, თუმცა, არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს ისეთი, რომ მათი გული მოიგოს. მეეჭვება, რომ ეს პირდაპირ ლაპარაკში ეთქვათ, მაგრამ, ხომ ვნახეთ, გამოაქვეყნეს ახლა, რომ ოკუპაციის შესახებ კანონი უნდა გავუქმოთ ჩვენ.

– დიახ, ყოველი მოლაპარაკებისას ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებენ...

– მე ვფიქრობ, რომ ეს გაგრძელდება და სერიოზული საფიქრალი და სალაპარაკოა. ვიმეორებ, ის პრიმიტიული მეთოდები, რასაც ნაციონალური მოძრაობა იყენებდა, დაუშვებელია. იმათაც აწყობდათ ეს, აქეთ კიდევ ვიღაცას გულს ფხანდა პუტინის ლანძღვა. ეს მარაზმი აღარ უნდა გამეორდეს. ვხედავდით, რომ საქმეს ერთი მილიმეტრით არ წაუწევია წინ. ამიტომ პრეტენზიები ამ ხელისუფლებასთან, წივილ-კივილი რატომ არ ატეხეს, გაუმართლებელია. თუმცა ამ ხელისუფლებას ნამდვილად მოუწევს სერიოზული და მკაფიო მოქმედების გეგმის შემუშავება. ეს

ჯერჯერობით არსად ჩანს.

– დიახ, სწორედ ამის კითხვას ვაპირებდი: ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ გაურკვეველია მათი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით, თუ რა გეგმები აქვთ და რას აპირებენ.

– სხვა შემთხვევაში იქნებოდა გარკვეული, რომ ჯერ სიტუაციის დარბილება, სუბიექტური პრობლემების მოხსნა, მერე კონტაქტი, ურთიერთობა, მერე შემუშავება. სხვა შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოსთან ამის დრო ჩვენ არც კი გვექნებოდა, რომ ამ რეჟიმში გვემუშავა. მე იმედი მაქვს, რომ მუშაობს ვინმე ამ საკითხზე და ხდება კონკრეტული გეგმის შემუშავება.

– რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას?

– რა პოზიცია უნდა ჰქონდეს? ტერიტორია ოკუპირებულია, ეს გინდა ვთქვათ და გინდა ნუ ვიტყვით – ოკუპირებულია. გინდა თუ არა, რატომ არ თქვა პრემიერ-მინისტრმა, ოკუპირებულიაო... ჰილარი კლინტონმა თქვაო. იმათ რა ენაღვლებათ რა, ოკუპირებული დაკავებულ ტერიტორიას ნიშნავს, გინდა უარყოფით მნიშვნელობას მიანიჭებ, გინდა დადებითს. მე ჩემი მოსაზრებები მაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით და სიმართლე გითხრად ჯერჯერობით არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მერე ვნახოთ, ამ ეტაპზე ველოდები ხელისუფლების ქმედით ნაბიჯებს.

– საუბარია, რომ გუნდშიც არ არის ერთიანი პოზიცია, სხვადასხვაგვარი განცხადებები კეთდება. არ ფიქსირდება ერთიანი, შეჯერებული პოზიცია...

– არ ვიცი, კეთილი უნდა ინებოს გუნდმა და ერთიანი პოზიცია უნდა ჩამოაყალიბოს. ასეთ დროს კიდევ განსხვავებული პოზიციები კარგს არაფერს მოუტანს არც ქვეყანას და არც ამ გუნდს, სხვათა შორის. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ცოტა უფრო ადვილად უყურებენ ამ ამბავს, რომ რიტორიკის შეწყვეტა, ეს მოლაპარაკებები კარასინთან შექმნიდა საფუძველს შემდგომი ნორმალიზების, მაგრამ ეს არსად ჩანს. არ ჩანს რომ ასე იქნება ეს ყველაფერი. ვხედავთ, როგორც იქცევა რუსეთი, ასეთი მეთოდები აქვს, რა. ეს უნდა გაგვითვალისწინებინა, ჩანდა ამისი სიმპტომები ორი-სამი თვის წინ და თავიდანვეც მზად უნდა ყოფილიყო ეს ხელისუფლება ამისთვის. ჩვენ ილუზიებს, როგორც დასავლეთით, ისე ჩრდილოეთით უნდა დავანებოთ თავი. დასავლეთი ყოველთვის კორექტული და თავაზიანი იქნება თავისი ნატოს ღია კარით. აქაც პრობლემები გვაქვს, ოღონდ სხვა ტიპის პრობლემები. რუსებს როგორ უნდათ, იცით? არ ვიცი, ფეხბურთი გიყვართ თუ არა. აი, დავუშვათ, თამაშობენ „რეალი“ და „ბარსელონა“ და შუა მატჩში, უცბად შუაგულ თამაშში, მესი „ბარსელონიდან“ „რეალში“ რომ გადავიდეს. შეიძლება სეზონის ბოლოს გადავიდეს, ამ ყველაფერს წინ მოლაპარაკებები უძღოდეს, კონტრაქტი დაიდოს, მაგრამ არა შუა შეხვედრაში რომ ადგეს და გადმოვიდეს მეორე გუნდში. დაახლოებით ასეთი წარმოდგენა აქვს რუსეთს ჩვენს მოქმედებაზე. ეს ძალიან სერიოზული სირთულეა.

– ბატონო აკაკი, ინტერვიუში ერთ-ერთმა რესპონდენტმა მითხრა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნისას ზვიადმა რამდენიმე ოსური სოფელი საქართველოს მიუერთა და ახლა რუსები ძველი საზღვრების აღდგენას ცდილობენ და საზღვრებს სხვა სოფლებშიც გადმოწევენო. თქვენ როგორც იმ მთავრობის წარმომადგენელი, რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

– კაცო, მიიერთა კი არა, მთავარი შეცდომა კი არა, დანაშაული იყო სამხრეთ ოსეთის ოლქის აღდგენა, რომელიც სააკაშვილმა გააკეთა. აი, ახლა დადიან და რადგან ამან აღადგინა, რა საზღვრებიც იყო ვითომდა იმ საზღვრებს ადგენენ. ჩვენ გავაუქმეთ ის ოლქი, კი არ მიგვიერთებია რამე, გავაუქმეთ. სხვათა შორის, თვითონ გააუქმეს, თავის სტატუსი უარყვეს და გამოაცხადეს თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად. გავაუქმეთ ის ოლქი და იმაზე ვაპირებდით მუშაობას, რა რეალურ ფარგლებში ყოფილიყო ეს ყველაფერი. იქ რაღაც სოფლები გადაჯგუფდა თავისთავად. ჩვენ გავაუქმეთ, არაფერი არ მიგვიერთებია, საქართველოს ტერიტორიაზე მოვახდინეთ ადმინისტრაციული გადანაცვლებები, რისი სრული უფლებაც გვქონდა და საბჭოთა კავშირმაც აღიარა. მათ მოგვმართეს თხოვნით, აღგვედგინა სამხრეთ ოსეთის ოლქი ანუ ირონბად ცნო მისი გაუქმება. პრობლემა იქნებოდა, აფხაზეთის ან აჭარის ოლქების გაუქმება რომ გადაგვეწყვიტა. თუ რამე არ გვიქნია, ეგ არ გვიქნია, რაც გავაკეთეთ, იმაზე ვილაპარაკოთ და რატომ ვქენით. არაფერი არ მიგვიერთებია, გაუქმდა ის ოლქი და ადმინისტრაციულად განისაზღვრა, რომელ რაიონში რომელი სოფელი შედიოდა. ჯავა დარჩა ჯავად და ოთხი რაიონი იყო სულ. აი, ეს იყო. მაშინაც პარლამენტში რამდენიმე კაცმა ამოიღო ხმა, ეს იყო გადამწყვეტი, რომ მიიღეს სამხრეთ ოსეთის ოლქის აღდგენა. უგუნური გადაწყვეტილება იყო და ახლაც იმას ვიმკით, იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგებს.

– თქვენც ფიქრობთ, რომ გაგრძელდება ეს პროცესი?

– თუ ხელისუფლება სასწრაფოდ არ შეიმუშავებს რაღაც კონკრეტულ გეგმას ურთიერთობის მოგვარებისას არა, ეს პროცესი რა თქმა უნდა, ამით არ დასრულდება. ახლა ეს განცხადება, მერე კიდევ რაღაც იქნება. ყველა შემთხვევაში მოხდება დისკრედიტაცია იმისი, რის გამოც ივანიშვილს ხალხმა მხარი დაუჭირა. ერთ-ერთი ფაქტორი ეგეც იყო, რომ ის დაჰპირდა ამომრჩეველს, რომ მოაწესრიგებს ურთიერთობას რუსეთთან. ჯერჯერობით კი რაიმეს მოწესრიგებას პირი არ უჩანს. ასე დარჩება, თუ ხელისუფლება რაღაცა ზოგადი ფრაზებით ილაპარაკებს და შეაფასებს მოვლენებს. შეფასება არ არის მათი მოვალეობა, ხელისუფლების მოვალეობაა – მოქმედება!

– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიცვლება ვითარებაო და ვიქონიოთ იმედი?

– ვერ გავიგე, როგორ შეიცვლება, რა, კარგი გახდება რუსეთი თუ უფრო უარესი? საჭიროა ხელისუფლების გეგმა და ქმედება. რუსეთი დარჩება რუსეთად. ამათ, ეტყობა, პრობლემის არსი არ ესმით. საჭიროა სწორი და გეგმაზომიერი მოქმედება.

„ამერიკელი ქართველების“ თვალით დანახული 17 მაისი

ძალიან გამიკვირდა ბატონი პრემიერის განცხადება ჩვენი ხალხი ამას ჯერ შეჩვეული არაა. მისგან არ მოველოდი. რას უნდა შევეჩვიოთ ? იქნებ კარგი რამე მოვიფიქროთ და იმას შევეჩვიოთ;

მათი პროპაგანდა-ეს არის შემზარავი გეგმა, რომელსაც ახორციელებენ მასონები და ეს გეგმა მიზნად ისახავს ადამიანთა გარყვნასა და დამორჩილებას მოჩვენებითი სიმშვიდითა და კონსტიტუციის უზენაესობით;

ნინია კაკაბაძე რომ იტყვის – ეს დამპალი მღვდელიო... რას ქვია დამპალი მღვდელი. დამპალი და გადაჯიშებული ამის მთქმელია;

ვეკითხები ცოლ–ქმარს თინა ხიდაშელს, დავით უსუფაშვილს და ჰომოსექსუალისტების სხვა მხარდამჭერებს – გინდათ თქვენი შვილი ჰომოსექსუალი იყოს?;

როდესაც საბერძნეთი შედიოდა ევროკავშირში, ევროკავშირის ხელმძღვანელობამ განუმარტა მათ, რომ ათონის მთაზე ქალთა არდაშვება, მდედრობითი სქესის მიმართ დისკრიმინაციას უკავშირდებოდა. ბერძნების პასუხი იყო, რომ ისინი არ დაუშვებდნენ ტრადიციებში გამონაკლისს ევროკავშირში შესვლის სანაცვლოდ. საბერძნეთი ევროკავშირში მაინც მიიღეს;

მიმდინარე წლის 17 მაისის აქცია, დღემდე რჩება ქართული და არა მარტო ქართული პოლიტიკური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ უფლებადამცველების განსჯა-განხილვის საგანი.

რამდენად მისაღებია მსგავსი ტიპის აქციები ქართული რეალობისთვის, რა მდგომარეობაა ამ კუთხით „დემოკრატიის მექად“ აღიარებულ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რას ფიქრობს ამ საკითხზე ამერიკის ქართული დიასპორა და ვის ადანაშაულებენ ისინი 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, ამის შესახებ საგენტო „ნიუსპრესის“ რეპორტაჟი ნიუ-იორკიდან:

მამა ალექსანდრე (თანდილაშვილი) – ნიუ-იორკის წმ.ნინოს სახელობის ქართული ტაძრის მოძღვარი:

– ყოვლად დაუშვებელია საქართველოში მამათმავლების მხარდასაჭერი პროპაგანდა. ეს საკითხი არამარტო საქართველოზე აისახება ცუდად, არამედ ამერიკაზეც, ინგლისზეც, საფრანგეთზეც და ყველა იმ ქვეყანაზე, სადაც ასეთ ადამიანებს თავისუფალი არეალი აქვთ. რამდენიმე დღის წინ ვუსმენდი სტატისტიკურ მიმოხილვას ასეთ ქვეყნებში შობადობის პროცენტული რაოდენობის შესახებ. მაგალითად ინგლისში, შობადობის სტატისტიკით, ინგლისელი მხოლოდ 32% იბადება, დანარჩენები ჩასული ხალხია. უარესი მდგომარეობა ყოფილა გერმანიაში. ეს კი იმის ბრალია, რომ არასწორი ორიენტაციის პროპაგანდამ იქაური ქალები გააბერწა და დედობისათვის უვარგისი გახადა. ამხელა ქვეყნები ვერ უძლებენ და საქართველოსათვის ხომ კატასტროფა იქნება. საქართველოსთვის პირველ რიგში ეს ყოფნა-არყოფნის საკითხი გახლავთ, მეორე რიგში ღირსების საქმეა. უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც უამრავი წმინდანი ცხოვრობდა, ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, რომლებმაც სიცოცხლის ფასად დაიცვეს სარწმუნოება და პატიოსნება. მე ძალიან გამიკვირდა ბატონი პრემიერის განცხადება, მისგან არ მოველოდი, როდესაც განაცხადა, რომ ჩვენი ხალხი ამას ჯერ შეჩვეული არააო. რას უნდა შევეჩვიოთ? იქნებ კარგი რამე მოვიფიქროთ და იმას შევეჩვიოთ. ვაჟკაცობის მაგალითები გვიჩვენონ, რომ ჩვენმა შვილებმა აიტაცონ და შეეჩვიონ. მაშინ ნარკომანიაც გამოვიტანოთ ქუჩაში და იმასაც შეეჩვევა ხალხი. მეძავებმა რაღა დააშავეს? ისინიც გამოვიყვანოთ სახალხოდ და ჩავთვალოთ, რომ აქ ცუდი არაფერია. ამერიკის შტატების უმრავლესობაში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა კანონით იკრძალება, რაც ძალიან კარგია. ქუჩაში ამის გამოტანა დანაშაულია. ჩვენი პოლიტიკოსები მაგათ მხარდაჭერაში გარკვეულ დივიდენდებს იღებენ და გაიძახიან, რომ ევროკავშირში არ მიგვიღებენ და ნატოში არ მიგვიღებენო. ეს დიდი სისულელეა.

– აცხადებენ, რომ მამაოები ცუდად მოიქცნენ, ძალადობას მიმართეს და ა.შ. პატრიარქმაც განაცხადა, რომ მან სინამდვილე არ იცოდა

– იმის ფაქტები რომ ჰქონდეთ, რომ მამაოებმა დანაშაული ჩაიდინეს, 24 საათის განმავლობაში წაღმა-უკუღმა დაატრიალებდნენ. ბილწსიტყვაობაც ხომ ფაბრიკაცია აღმოჩნდა. რაც შეეხება ტაბურეტიან მამაოს, ტაბურეტის ტარება დანაშაული სულაც არა არის. მე მინახავს ჩვენთან სიონში და სხვა ტაძრებში თავიანთი სკამებით როგორ მოდის ხალხი. თუ ვინმემ დაინახა, რომ მამაომ ის ტაბურეტი ვინმეს ჩაარტყა ან შეიგინა, -ეს იქნებოდა ფაქტი და მართლაც იქნებოდა უღირსი საქციელი სასულიერო პირისგან. ღმერთს მადლობა, რომ ეს ასე არ ყოფილა. ერი და ბერი ერთად დადგა და ეს ასეც უნდა იყოს. მათ ერის ღირსება და ნამუსი დაიცვეს. სასულიერო პირებს ძალადობისათვის არ მიუმართავთ და ვინც მიმართა ეს კიდევ გამოსარკვევია. ვისურვებდი, რომ ეს აღარ განმეორდეს. ასეთი გადახრის ადამიანები ყოველთვის იყვნენ და მომავალშიც იარსებებენ, მაგრამ ქუჩაში ნუ გამოიტანენ ამ სოდომის ცოდვას და თავს ნუ მოგვახვევენ თავიანთ გაუკუღმართებულ სექსუალურ ორიენტაციას.

ნიკო ნადირაშვილი; მუსიკოსი, ტრიო „საუნჯის“ ხელმძღვანელი:

– საქართველოში, როცა ხელისუფლება არ გაითვალისწინებს მართლმადიდებლური ეკლესიის რჩევებს, მით უმეტეს პატრიარქისას, -ასეთი ხელისუფლება ქვეყანას ყოველთვის დაუაზარალებს. პატრიარქის გვერდით გამოჩენა და მასთან ერთად სანთლების დანთება ყველას უნდა. გადასწრებაზე არიან ზოგიერთები. ევროპელებს კი, თუ უნდათ, რომ ევროპელობა დაიბრუნონ, ქართველებს მოგვბაძონ.

ზვიადი ინასარიძე; 22 წლის– სტუდენტი:

– ნიუ-იორკში ვცხოვრობ და ახლოს ვიცნობ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებსაც. მქონია საუბარი მათთან, თუ როგორ უყურებენ ისინი მათ წინააღმდეგ საზოგადოების აზრს. ასეთი ორიენტაციის ადამიანებს ერთი პასუხი აქვთ, რომ ისინი არიან სრულყოფილი ადამიანები და არ აქვთ განცდა იმისა, რომ არანორმალურად იქცევიან. პირიქით, მათ თავი მოაქვთ ჰუმანურ და დახვეწილ ადამიანებად, არ განიკით-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რუსებმა ოკუპაციის შესახებ კანონის გაუქმება მოგვთხოვეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოსა და ჩუსეთს შორის უთანხმობა ისევ დაიძაბა. შიდა ქართლის ჩეგიონში ჩუსების ქმედებებმა დაგვარნმუნა, ჩომ ბუნებაში 2 ჩუსეთი არ არსებობს. ახადა გვიმტკიცებდნენ, სააკაშვილის წასვლის შემდეგ მოსკოვთან ყველაფერი დაიაგდებოდა.

თავიდან თითქოს პოზიტიური ძვრებიც შეინიშნებოდა. რუსები მათ ტერიტორიაზე ქართული პროდუქციის შეშვებას დათანხმდნენ. ავადსახსენებელმა გენადი ონიშენკომ თავისი ექსპერტებიც გამოაგზავნა ჩვენებური ღვინოების შესამოწმებლად. მაღლიერმა ქართველებმა კრემლის საკონცერტო დარბაზშიც ვუცეკვეთ რუსებს. მერე სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობასაც დავთანხმდით.

ამაზე ნაციონალები მწარედ ოხრავდნენ და გმინავდნენ. განსაკუთრებული აღშფოთება მათში ერთმა კანონმა გამოიწვია. აგვისტოს ომის შემდეგ ნაციონალებმა მიიღეს კანონი ოკუპირებული რეგიონების შესახებ. საოცნებო ხელისუფლებამ კი რუსების საამებლად კანონში ცვლილებების შეტანა დაიწყო. ამის გაკეთებას ჯერ ვერ ახერხებენ.

რუსეთი, როგორც სჩანს მარტო ცვლილებებით არ კმაყოფილდება. მათ ახლა ამ კანონის გაუქმება მოითხოვეს.

ოფიციალური მოსკოვი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის გაუქმებას ითხოვს, რომელიც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითვალისწინებს მათ მიმართ, რომლებიც აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს საზღვრის გადაკვეთის გარეშე გაემგზავრებიან.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა რუსულ მედიას საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

– მთავარი, რაც ჩვენს ტურისტებს საფრთხეს უქმნის, არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აფხაზეთსა და ოსეთში სტუმრობის გამო. ჩვენ ვთვლით, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა ამ კანონის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება, – განაცხადა კარასინმა.

კარასინის მოთხოვნამ ნაციონალები გამოაცოცხლა. მეოცნებეებს ისედაც რუსულ დუდუკზე ცეკვაში სდებდნენ ბრალს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი კანდელაკის განცხადებით, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით საქართველო შევარდნაძის

ეპოქაში დაბრუნდა.

– ბოლო განცხადებები, მათ შორის პრემიერ-მინისტრის ივანიშვილის რეაქცია საოკუპაციო ხაზის გადმოწევაზე, მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს საგარეო პოლიტიკაში შევარდნაძის ეპოქა დაბრუნდა, როცა მივიღეთ იმგვარი სიტუაცია, სადაც არავინ არაფერზე პასუხისმგებელი არაა. ჩვენ არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ მიმართულებით შევარდნაძის ეპოქაში დავბრუნდით, – განაცხადა კანდელაკმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ბარამიძემ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია.

და საოცნებო მთავრობას „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტის საკანონმდებლო ორგანოდან უკან გაწვევისკენ მოუწოდა.

– კარასინი საუბრობს იმაზე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი ადამიანის შესვლა მათთვის გართულებულია. ეს სწორედ არსებული კანონმდებლობით შექმნილი რეჟიმის გამო ხდება. ეს განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს იმაზე, რომ ეს კანონი მოქმედებს და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლასთან დაკავშირებით, შემაკავებელი ფაქტორი აქვს. უკანონოდ საზღვრის გადმოკვეთა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ისჯება, რადგან საზღვარი ყველა ქვეყანაში წმინდათა წმინდაა. მთავრობას მოვუწოდებ საერთოდ გაიტანოს ეს პროექტი, – აცხადებს დეპუტატი.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პროექტი პირველი მოსმენით მიღებულია, რომლის გათვალისწინებითაც, კანონის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმდება.

კარასინის კაპრიზებზე კომენტარები მეოცნებეებმაც გააკეთეს. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის თქმით,

თუ ვიღაცას „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტი არ მოსწონს როგორც ფორმა, იმ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ, რომლებიც პრობლემებს უქმნის ერთმანეთს.

– ჩვენ უნდა გამოვიდეთ არა ფორმებიდან, არამედ კონკრეტული მიზნებიდან და შედეგეებიდან. თუ ვიღაცას ოკუპაციის კანონი არ მოსწონს როგორც ფორმა, იმ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ, რომლებიც პრობლემებს უქმნის ერთმანეთს და პრობლემებიდან გამომდინარე, კომპრომისული ვარიანტების შერჩევას უნდა ვეცადოთ, – აღნიშნა სესიაშვილმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი კანონის არსებობაში პრობლემას ვერ ხედავს.

მისი თქმით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთი ამ კანონის გაუქმებას ითხოვს და ამ მოთხოვნას რეგულარული ხასიათი აქვს.

– კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ არსებობს, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. მსგავსი მოთხოვნები ხელს ვერ შეგვიშლის, კანონში საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი ცვლილებები შევიტანოთ. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობს და არ აქვს კავშირი რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებთან. ჩვენი ამოცანაა, კანონმა დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპები და ამავდროულად, არ იყოს არაადეკვატურად მკაცრი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ, – განაცხადა „ინტერ-პრესნიუსთან“ საუბარში ქეთევან ციხელაშვილმა.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ხელმძღვანელის სერგი კაპანაძის შეფასებით, კი კარასინის განცხადება თვალის ამხელი უნდა ყოფილიყო ყველა იმ პოლიტიკოსისთვის, რომელიც საქართველოს მიმართ რუსეთის ქმედებებით გაოცებულია.

– არაფერი ახალი ამ განცხადებაში არაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კარგად გააანალიზოს, თუ რა არის მისი ინტერესები და ყველა შესაძლო გზით, ყველა შესაძლო ფორუმზე ჩვენი ინტერესები დავიცვათ. დავაფიქსიროთ რა არის ჩვენი წითელი ხაზები და ამ წითელი ხაზების დაცვით ვესაუბროთ რუსეთს ჩვენთვის მართლა მნიშვნელოვან თემებზე და არა ისე, რომ ჩვენ ახლა ღვინოსა და „ბორჯომზე“ სასაუბროდ მივდივართ და არ შევეხებით ისეთ თემას, როგორიც ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევაა. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი, თორემ რაც უფრო დრო გავა, მით უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება ჩვენი საგარეო პოლიტიკა და პირველ რიგში, არაღიარების პოლიტიკა. კარასინის ეს განცხადება თვალის ამხელი უნდა ყოფილიყო ყველა იმ პოლიტიკოსისთვის, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი გაოცებულები არიან რუსეთის ქმედებებით ჩვენს მიმართ, – განაცხადა სერგი კაპანაძემ.

ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. საქართველოს ხელისუფლება ისეთ უცნაურ გადაწყვეტილებებს იღებს, შესაძლოა ეს კანონიც გაუქმონ.

ნაციონალები ფარული ჩანაწერების განადგურებას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

უკანასკნელი 9 წლის მანძილზე მთელი ერი იმაზე ჩიოდა, რომ ნაციონალური ხელისუფლება ფარულ მიყურადებებს ახორციელებდა. ვიცოდით რომ ამ ხერხს პოლიტიკური ოპონენტების მიმართ იყენებდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი გავარკვიეთ, რომ ნაციონალები ერთმანეთზეც აგროვებდნენ კომპრომატებს. ეს კომპრომატები ცხადია საიმედო ადგილას ჰქონდათ გადანახული და საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენ.

რამდენიმე თვის წინ პროკურატურამ გვამცნო, რომ არსებობდა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოფირები. ამის შესახებ შს მინისტრმაც არაერთხელ ისაუბრა. ირაკლი ღარიბაშვილს ეს ფირები შსს-ში დახვდა. მისმა შემქმნელებმა ეს ფირები რატომღაც არ გაანადგურეს.

პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების განადგურება ამ კვირაში უნდა მომხდარიყო. ერი მოუთმენლად ელოდა დაანონსებულ ღონისძიებას. მაგრამ როდის იყო ხელისუფლება დაპირებებს ასრულებდა. 2 დღის წინ გვამცნეს ფირების განადგურება ცოტა ხნით გადაიდოო.

ამ ფირებზე, როგორც ამბობენ, ნაციონალების პირადი ცხოვრების ამსახველი მომენტებიც არის დაფიქსირებული. ნაცმოძელებმა საკუთარი ცუღლუტობანი კარგად უწყიან და ამიტომაც ღელავენ, რამე არ გაიპაროს. და სანამ რაიმე მომხდარა ნაციონალებმა შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კანონის აღსრულებისკენ მოუწოდეს.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან სასწრაფო წესით მოითხოვა პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების განადგურება.

– იყო შენახული აღნიშნული ინფორმაცია მაშინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯერ შანტაჟის მიზნით გამოიყენა სხვისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, კონკრეტული ჟურნალისტის, უფლებადამცველის მიმართ შანტაჟს ჰქნდა ადგილი შს მინისტრის პირველი მოადგილის მხრიდან. ეს არის ის პიროვნება, რომელსაც საკმაოდ მაღალი ნდობა ჰქონდა შს მინისტრის და თვითონ პრემიერის. კანონმდებლობა პირდაპირ მოითხოვს, რომ მსგავსი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პირადი ცხოვრების შესახებ ცალკეულ დეტალებს, უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ და ჩვენ შს სამინისტროსგან მოვითხოვთ, გადადგას ის ნაბიჯი, რაც გაწერილია კანონში, გაანადგუროს ეს ინფორმაციები, აცნობოს ამის შესახებ იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს, როგორც ეს კანონში წერია, – განაცხადა კუბლაშვილმა.

დეპუტატ კუბლაშვილის მოთხოვნა აბსოლიტურად ლეგიტიმურია. ამასთან საინტერესოა რატომ არ ითხოვს ის ამ ფირის დამამზადებელთა დაკავებას. ან აქამდე რატომ არ ახდენდა რეაგირებას მსგავსი ფირების არსებობაზე.

ზუსტად რატომ ინახავენ ამ ბინძურ კომპრომატებს მეოცნებეები ვერ გეტყვით. ისე კი ამბობენ, რომ მათ განადგურებას აზრი არა აქვს, რადგანაც ორიგინალებიც არსებობს.

ორიგინალები კი არსებული ინფორმაციით მეგის ქარდავას ჰქონია. მეგის ქარდავა ამჟამად მიმალვაში იმყოფება. აპრილის თვეში გავარდა ხმა, რომ ის კომპრომატების გამოქვეყნებით დაემუქრა ახალ ხელისუფლებას. ფირების გამოქვეყნებას იმ შემთხვევაში აპირებდა თუ მაისის დასაწყისში ბაჩო ახალაიას ციხიდან არ გამოუშვებდნენ.

ბაჩო ახალაია ისევ პატიმრობაში რჩება. კომპრომატები არ გამოქვეყნებულა. მაგრამ ერთი გარემოებაა თვალშისაცემი, მეოცნებეები მეგის ქარდავას საერთოდ აღარ ახსენებენ. დიდი ძალა აქვს კომპრომატებს, დიდი.

ვინ ემუქრება თალიბების სახელით სააკაშვილს

შორენა მარსაგიშვილი

გუშინდელი დილა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსთვის ემოციურად მძიმე გამოდგა. საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ვიდეო, სადაც თალიბები საქართველოს ტერაქტებით ემუქრებიან.

კონკრეტულად „იუთუბი“-ზე გავრცელდა ვიდეო სახელწოდებით – „ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ“. ვიდეო აისაფ-ის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მუქარას შეიცავს და მასში ქართველი ჯარისკაცები არიან ნაჩვენები.

გავრცელებულ ვიდეომასალაში ნათქვამია, რომ მსგავსი ბედი ავღანეთში თითოეულ ქართველს ელოდება და ასევე მათ, ვინც ისინი ავღანეთის მიწაზე გაგზავნა.

– ავღანეთი ჩვენი მიწაა და ყველა, ვინც მის დაპყრობას შეეცადა, აღაჰისგან დაისაჯა. ახლა კი, ახალი ჯვაროსნები ჩამოვიდნენ საქართველოდან ჩვენი შვილებისა და ცოლების მოსაკლავად. ქვეყნის პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ამერიკის დასახმარებლად გამოგზავნა ჯარები ავღანეთში. ჯიჰადი ქართველ ჯვაროსნებზე შურს იძიებს. ყოველდღე ჰელმანდში საშინელი სიკვდილით კვდებიან ქართველი ჯვაროსნები და იგივე ბედი ელის ყველას, ვინც ჩვენს მიწაზე სისხლს ღვრის. ჩვენ ვიცით თქვენი სახელები, მისამართები, ნათესავები და მალე საქართველოში ჩამოვალთ! ჩვენ შურს ვიძიებთ!, – ნათქვამია ვიდეომიმართვაში.

ვიდეო მუქარას საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართაც შეიცავს და ხაზგასმულია, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება.

ეს მიმართვა „იუთუბი“-ზე 2 ივნისს დარეგისტრირებულ მომხმარებელ ჰამმად ზამან-ს ეკუთვნის. გავრცელებულ ვიდეოზე თავდაცვის სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო

პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე არ გამორიცხავს, რომ ქართველი ჯარისკაცების და საქართველოს მისამართით გავრცელებულ, თალიბების მუქარის შემცველ ვიდეომიმართვა საფრთხეს შეიცავდეს.

როგორც ,,მედიანიუსთან“ საუბარში ვაჟა ბერიძემ განაცხადა, გავრცელებულ ვიდეომასალაზე ძნელია დაზუსტებით ითქვას, რომ ის ნამდვილია, რადგან ამგვარი ვიდეოების გავრცელების პრაქტიკა არსებობს, რის შემდეგაც აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს გარკვეული ძალების მიერ არის შეთითხნილი.

– მითუმეტეს, როდესაც საქართველოსთან მიმართებაში ბოლო პერიოდში ყველა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეზობელი გააქტიურებულია. ის, რომ საქართველო მონაწილეობს ავღანეთის კამპანიაში– ეს არის აუცილებელი და საჭირო პოზიცია და დამოკიდებულება, რომელიც ვფიქრობ, რომ სწორედ დაფიქსირდა ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს მიერ, – აცხადებს ბერიძე.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობის გამო შურისძიების მომენტი გამორიცხულია არ არის.

,– რაც შეეხება შურისძიების მომენტს, ეს გამორიცხული რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ და ყურადღებით უნდა მოეკიდონ საფრთხეებს, რადგან ავღანეთი არის ჩვენი უსაფრთხოების ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში, ის ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების საერთო პრობლემაა. ავღანეთი არის საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი და ჩვენ მთელს მსოფლიოსთან ერთად ვართ ვალდებული, რომ ავღანელ ხალხს ჰქონდეს მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა. ამის საშუალებას მათ ქვეყნის შიგნით გარკვეული ძალები არ აძლევენ. ჩვენი წვლილი ავღანეთის კამპანიაში არის შეტანილი წვლილი საქართველოს უკეთესი მომავლის მშენებლობაში, – მიიჩნევს ვაჟა ბერიძე.

მისი განმარტებით, ამ შესაძლებელი საფრთხის პრევენცია საქართველოში უშიშროების სისტემის შემქმნელმა სტრუქტურებმა უნდა მოახდინოს.

– თუ ეს ძალა არის თალიბანი, საქართველო ამ შემთხვევაში მარტო არ არის და მასთან ერთად არის მოკავშირე, რომელიც ნატოს ეგიდით ამ პროცესებში იღებს მონაწილეობას. განდგომა და იმის თქმა, რომ ჩვენ არ უნდა ვიყოთ საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ფაქტორი– თავისთავად ნიშნავს ქვეყნის წყვდიადში და უპერსპექტივებაში გამოკეტვას. არ გამოვრიცხავ გარკვეული საფრთხის არსებობას მოცემულ შემთხვევში. თუმცა ჩვენ ვართ დამოუკდიებელი, სუვერენული სახელმწიფო შესაბამისი სტრუქტურებით, რომლებიც რატომღაც, უშიშროების საბჭოს ვგულისხმობ, ყოველთვის არ არიან მოწოდების სიმაღლეზე და აყოვნებენ რეაგირებას გარკვეულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ამ სისტემამ უნდა იმუშაოს, მითუმეტეს ამ შემთხვევაში, როდესაც გვერდით გვიდგანან ჩვენი მოკავშირეები დასავლეთიდან. ამდენად საფრთხე, რომელიც შესაძლოა არსებობდეს, თავიდან უნდა ავიცილოთ, – აღნიშნა ბერიძემ.

ამ ვიდეოზე უფრო დეტალურად საუბარი მოკვლევის დასრულების შემდეგ შეიძლება. ისე კი ბევრი რამეა საეჭვო. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ამის უკან შესაძლო ნაციონალები დგანან. ამ ვიდეოში სააკაშვილის გვარი ცუდად და საეჭვოდ ტრიალებს. ვიღაცები არც რუსულ კვალს გამორიცხავენ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ფარული ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით პოზიციას ექსპერტებთანაც შევაჯერებთ“

ნათია ხურცილავა

ჰატომ შეიცვალა პოზიცია იჰაკი ღარიბაშვილმა, მაშინ ჰოდესაც ბჰიუსელში აჰაეჰთ მაღალი დონის შეხვედჰაზე განაცხადა, ჰომ ფაჰული ჩანაწეჰები განადგუჰდებოდა.

ასეთი პირობა შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ერთობლივად მისცეს ქართველ საზოგადოებასაც. როდესაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან გაიმართა შეხვედრა. ამ გაფართოებულ შეხვედრაზე ხელისუფლება ერთხმად შეთანხმდა, რომ უკანონო ფარული ჩანაწერები უნდა განადგურდეს. მაშინ მხოლოდ გარკვეული დრო ითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომ უკანონო ფარული ჩანაწერები განადგურებულიყო.

რა ხდება დღეს? რატომ შეიცვალა ხელისუფლებამ, პირველ რიგში პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პოზიცია? რამდენად სწორია ექსპერტების ნაწილის პოზიცია, რომ ფარული ჩანაწერები განადგურებას არ უნდა დაექვემდებაროს?

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული უკანონო, ფარული ჩანაწერები რა ინფორმაციულ ღირებულებას წარმოადგენს, უცნობია, ასევე უცნობია, კონკრეტულად რა შინაარსის ჩანაწერებია.

გავრცელებული ინფორმაციით, საუბარია ინფორმაციაზე, რომელიც კონკრეტული ადამიანების პირად ცხოვრების ინტიმურ დეტალებს სახავს. რამდენად საინტერესოა ამა თუ იმ პირის პირადი ცხოვრება და სახელმწიფო მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს ასეთი ჩანაწერი, გაუგებარია. ასევე გაუგებარია, რატომ ხდება პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიციის ცვლილება, უფრო ზუსტად კი დადებული პირობის დარღვევა?

შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კონსულტაციები ჯერ არ დასრულებულა და, შესაბამისად, გადაწყვეტილება შეიძლება კიდევ რამდენიმე დღეს გაჭიანურდეს. თუმცა, მანამდე ბიძინა ივანიშვილმა პრესასთან ასეთი შინაარსის განცხადება გააკეთა:

– მიდის განხილვა არქივის განადგურებაზე, ჰყავს მოწინააღმდეგეები, სპეციალისტები, პროფესიონალები, ერთადერთი პრინციპული მოწინააღმდეგე კახი კახიშვილი გახლავთ, ის პროფესიით პროკურორია. როგორც მე ვიცი, განათლება აქვს და პრაქტიკაც. ვნახოთ, მეთოდი შენახვის ისეთი, ვთქვათ, როგორც ბანკში ფული ინახება, ამის მსგავსი რომ რამდენიმე ორგანიზაციას ჰქონდეს, რამდენიმე ტიპის საკეტი იყოს და ასე შემდგომ. საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ სირცხვილს თავი დავაღწიოთ, მსგავსი საქართველოში აღარ გამეორდეს და ამისთვის, თუ გნებავთ, სასამართლო უნდა გაძლიერდეს, სამართალი უნდა გაძლიერდეს და ეს კანონმდებლობაც უნდა დალაგდეს ამ კუთხით, – განაცხადა ივანიშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 30 მაისს განაცხადა, რომ დაახლოებით ერთ კვირაში ფარული ჩანაწერების არქივი უნდა განადგურებულიყო. ეს განცხადება მან ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ევროპული პოლიტიკის ცენტრში გამართულ საჯარო შეხვედრა-დისკუსიაზე გააკეთა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო უკანონო ფარული მოსმენების არქივის განადგურებასთან დაკავშირებით საბოლოო კომენტარს რამდენიმე დღეში გააკეთებს.

ასეთი შინაარსის განცხადება ჟურნალისტებთან მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

– ექსპერტებმა გამოთქვეს დამოუკიდებელი აზრი, რომ, შესაძლოა, არ იყოს მაინცდამაინც სწორი და გამართლებული პოზიცია არქივის განადგურება. ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ მათთან კონსულტაციები გავმართოთ და საბოლოო პროცედურებზე შევჯერდეთ. ეს გარკვეულ პროცედურებს მოიცავს. შეიძლება, რამდენიმე დღეს ეს პროცედურები გაიწელოს. ძალიან მალე ჩვენ საბოლოო პოზიციას წარმოგიდგენთ. დღეს ან ხვალ ამასთან დაკავშირებით დამატებით კომენტარს გავაკეთებთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ახალ ხელისუფლებას კანონის დაცვისკენ მოუწოდებენ და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მათი ხელისუფლების პირობებში განხორციელებულ კანონდარღვევის გამოსწორების აუცილებლობას ახსენებენ.

სოციალურ ქსელებში შინაგან საქმეთა მინისტრის პოზიციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დაინტერესებული საზოგადოება პრემიერს და შინაგან საქმეთა მინისტრს დადებული პირობის შესრულებისკენ მოუწოდებენ.

ექსპერტებისთვის, რომლებიც აღნიშნული საკითხით იყვნენ დაინტერესებული, მოულოდნელობა აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია. შესაბამისად, ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ კონსულტაციები გაიმართება და პოზიციები შეჯერდება.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონფერენცია „გზა ევროპული ინტეგრაციისკენ – სამართალდამცავი უწყებების როლი“ გახსნა.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა გახსნეს.

კონფერენციას ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი 20 ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები დაესწრნენ.

– ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო დიალოგის ფარგლებში, საქართველომ 2013 წლის თებერვალში მიიღო ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მიერ სხვადასხვა სფეროში (საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ინტეგრირებული საზღვრის მართვა, მიგრაცია, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და სხვა) რეფორმების გატარებას. სამოქმედო გეგმის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი ღონისძიებები უკვე ჩაატარა. კონფერენციის მთავარია მიზანია საქართველოს შსს-ს მიერ განხორციელებული რეფორმების პარტნიორი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურებისთვის გაცნობა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას გაიზიარებს, – ნათქვამია შსს განცხადებაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში რიგი რეფორმები აქვს გასატარებელი საქართველოს.

– მიმდინარე წლის თებერვალში ჩვენ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა მივიღეთ. ეს ორდღიანი კონფერენცია ორგანიზებულია ევროკავშირის მიერ ჩვენს სამინისტროსთან ერთად. ეს კონფერენცია ძალიან მნიშვნელოვანია ვინაიდან, ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ჩვენს სამინისტროს მთელი რიგი რეფორმები გვაქვს გასატარებელი. ჩვენ მოვიწვიეთ ოცი ქვეყნის წარმომადგენლები, რომ ჩვენ მიერ გატარებული რეფორმები გავაცნოთ, ასევე გავცვალოთ ინფორმაცია და გამოცდილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, არალეგალური მიგრაცია და ა.შ., – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში, ვინაიდან აღნიშნული კონფერენცია სწორედ მათი დაფინანსებით იმართება.

– ჩვენ მაქსიმალურად წარმოვაჩენთ ჩვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებს, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, „ევროპას თავისი მაღალი სტანდარტები და მოთხოვნები აქვს“.

– ეს კონფერენცია უკავშირდება საქართველოს მისწრაფებას, რომ ევროპას დაუახლოვდეს. როგორც იცით, ევროპას თავისი მაღალი სტანდარტები და მოთხოვნები აქვს. ეს საქართველოსთვის დიდი გამოწვევაა. ამავე დროს, ქვეყანამ გასულ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. იმედია, ეს კონფერენცია უკვე წარმოაჩენს იმას, თუ რა არის ევროპის მოლოდინი, – განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

როდის აღდგება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები

ნათია ხურცილავა

ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დასრულდა. გრიგორი კარასინი მოთხოვნით გამოდის,

რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი გაუქმდეს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს საქართველოს საგარეო უწყება პასუხობს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთისგან ინსტრუქციებს არ მიიღებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელ გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელს რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძეს პრაღაში გამართულ შეხვედრაზე შიდა ქართლში შექმნილი ვითარება არ განუხილავთ.

ქართულ-რუსულ შეხვედრაზე საუბარი ფორმატის 6-თვიანი მუშაობის შედეგებს შეეხო.

– ბატონმა კარასინმა ადრე განაცხადა, რომ ჩვენ ამ საკითხზე საუბარს ვერ შევძლებდით, რადგან ჩვენი ფორმატი ამ თემას არ ითვალისწინებს და ეს ჟენევის ფორმატის პრობლემატიკაა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მხრიდან დავადასტურეთ ჩვენი პოზიცია. შეხვედრაზე შევაჯამეთ პირველი შეხვედრიდან დღემდე ორმხრივი დიალოგის შედეგები იმ მიმართულებებით, რომლებიც მხარეებმა თავიდანვე განვსაზღვრეთ, – განაცხადა აბაშიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, „საქართველოს სუვერენიტეტი ტერიტორიული მთლიანობა დისკუსიას არ ექვემდებარება“.

სესიაშვილს ჟურნალისტებმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის გრიგორი კარასინის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გაუქმების მოთხოვნის დაყენების ფაქტის კომენტირება სთხოვეს.

– თავისთავად ცხადია, რომ ვერ აღდგება დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყანასთან, რომელიც შენს იურისდიქციაში, გაეროს მიერ აღიარებულ ფარგლებში, შენს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს აღიარებს. ეს გამორიცხულია. არსებობს მკაფიო ზღვარი სახელმწიფო ინტერესებსა და იმ მოლაპარაკებების შედეგად წარმოქმნილ საკითხებს შორის. ჩვენი მკაფიო ზღვარი არის ის, რომ ჩვენი სუვერენიტეტი, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა დისკუსიას არ ექვემდებარება, – განაცხადა სესიაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, „საგარეო უწყება ბატონი კარასინისგან ინსტრუქციებს არ იღებს“.

ასე გამოეხმაურა ბერუჩაშვილი ჟურნალისტებთან საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის მოთხოვნას „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გაუქმების თაობაზე.

– საგარეო უწყება ბატონი კარასინისგან ინსტრუქციებს არ იღებს. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, რა ტიპის კანონებს მიიღებს და განახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, – განაცხადა ბერუჩაშვილმა.

რაც შეეხება გუშინ პრაღაში გამართული კარასინი-აბაშიძის შეხვედრის ზოგად შეფასებას, ბერუჩაშვილის შეფასებით, „მოკრძალებული პროგრესი არსებობს“.

– ბატონმა ზურაბმა პრესკონფერენციაზე მიმოიხილა ის თემები, რომლებიც საავაჭრო ურთიერთობებს, სავიზო საკითხებს, ასევე, სატრანსპორტო თემებს ეხება. რასაკვირველია, პროგრესი მოკრძალებულია, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს არის პროცესი, რომელშიც ჩაერთო საქართველო. იმედი მაქვს, ამ ნაბიჯების გათვალისწინებით, რუსეთი კონსტრუქციული იქნება, – აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

„ამერიკელი ქართველების“ თვალით დანახული 17 მაისი

ხავენ არავის და არაფერი აქვთ საწინააღმდეგო ტრადიციული ოჯახების მიმართ. მათი ეს ჰუმანურობა იქედან გამომდინარეობს, რომ მათ არ შესწევთ საიმისო ძალა ვინმეს დაუპირისპირდნენ. მათი პროპაგანდა -ეს არის შემზარავი გეგმა, რომელსაც ახორციელებენ მასონები და მიზნად ისახავს ადამიანთა გარყვნასა და დამორჩილებას მოჩვენებითი სიმშვიდითა და კონსტიტუციის უზენაესობით. ისე, რომ ამ კონსტიტუციაში ერების ინტერესები არ არის გათვალისწინებული. ჰომოსექსუალიზმი არის დაავადება და ასეც იყო ცნობილი 1993 წლამდე, შემდეგ კი ცვლილება შეიტანეს მედიცინის შეხედულებაში და ავრცელებენ აზრს, რომ ის ნორმალური მოვლენაა. ერთი წუთით დავუშვათ და მივიღეთ ეს ადამიანები. ჩვენ არ შეგვეცვლება ორიენტაცია, მაგრამ ჩვენი შთამომავლობა ხომ დიდი საფრთხის წინაშე დადგება? რაც შეეხება მათ პროპაგანდას ჩემს ქვეყანაში: საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა არის მართლმადიდებელი. როდესაც საბერძნეთი შედიოდა ევროკავშირში, ევროკავშირის ხელმძღვანელობამ განუმარტა მათ, რომ ათონის მთაზე ქალთა არდაშვება უკავშირდებოდა დისკრიმინაციას მდედრობითი სქესის მიმართ. ბერძნების პასუხი ასეთი იყო, რომ ისინი არ დაუშვებდნენ ტრადიციებში გამონაკლისს ევროკავშირში შესვლის სანაცვლოდ. საბერძნეთი ევროკავშირში მაინც მიიღეს. საქართველო საბერძნეთზე ნაკლები ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანა არ არის. ქრისტიანობა ქართველებისათვის მარტო რელიგია არაა. ქრისტიანობა იყო ის, რამაც მოგვცა ერთობა და დიდება ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე, გვასწავლა სამშობლოსათვის თავის გაწირვა, დედისადმი პატივისცემა, მეგობრისადმი წუხილი და მოყვასის სიყვარული. ეხლა კი ყველა ამ ღირებულებებს ებრძვიან. ქრისტიანობას არასწორი ღირებულებები არ შემოუტანია. ამას ამტკიცებს მისი ისტორია და დღეს რატომ უნდა მივიღოთ ეს არასწორი, გაუკუღმართებული ღირებულებები? მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უკუღმართი ღირებულებები საქართველოს დაღუპავს და ამიტომ მათ არ ვენდობი.

გია მელიქიშვილი; ქართული დიასპორის წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში:

– უმთავრესი კითხვაა-ბავშვებს როგორ უნდა განვუმარტოთ ქუჩაში გამოფენილი ასეთი „მხიარული“ სანახაობების შინაარსი ?

დოდო მილორავა; ქართული დიასპორის წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში:

– ჰომოსექსუალიზმი არის ავადმყოფობა. თავში არის ერთი წერტილი, რომელიც შეიძლება წაშალო და ადამიანი ჩვეულებრივი ცხოვრების წესს დაუბრუნდება. ეს დემოკრატია არ არის. დემოკრატია გარყვნილებას და მის ლეგალიზაციას არ ნიშნავს. რომელი დემოკრატიაა ის, რომ იმ გარყვნილს იცავ და ჩემს უფლებას არღვევ. მე მაქვს ოჯახი, გავზარდე წესიერი შვილი და არ მინდა ჩემმა შვილმა იცხოვროს ასეთ გარემოში. ვინ ხარ შენ, რომ მე ამ უფლებას მიზღუდავ. უმცირესობის უფლებებს იცავ და უმეტესობის უფლებებს არღვევ. ნინია კაკაბაძე რომ იტყვის– ეს დამპალი მღვდელიო... რას ქვია დამპალი მღვდელი, დამპალი და გადაჯიშებული ამის მთქმელია. ან დედა ენის ძეგლთან როგორ მისცეს უფლება რომ შეკრებილიყვნენ. ოჯახებს გაუკეთონ რეკლამა, მრავალშვილიან ოჯახებს. რატომ ხარჯავენ გარყვნილებაში ამდენ ფულს. ინვალიდი ბავშვები ცოტა გვყავს? მათ დაახარჯონ ეს ფულები. ვეკითხები ცოლ-ქმარს თინა ხიდაშელს, დავით უსუფაშვილს და ჰომოსექსუალისტების სხვა მხარდამჭერებს -გინდათ თქვენი შვილი ჰომოსექსუალი იყოს?

ნანა მეფარიშვილი; პოეტი:

– ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებული მოვლენები, რაც საქართველოში ხდება, ერის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. ცხადია ძალადობას უნდა გავემიჯნოთ, მაგრამ როცა ვხედავთ, როგორ გვექცევა თავზე აქამდე სისხლით მოტანილი ქვეყანა, როცა ბინძური ხელებით ბილწავენ სიწმინდეებს, როცა ერისა და რწმენის გადაგვარებისაკენ გვიბიძგებენ, – ამ დროს სწორედ ერთად უნდა დადგეს ერიცა და ბერიც. 17 მაისს ქართველმა ხალხმა სამართლიანად აიმაღლა ხმა სამარცხვინო გეი -აღლუმის წინააღმდეგ.

ქეთევან ინასარიძე 20 წლის; სტუდენტი:

– მამათმავლობა, სქესის შეცვლა და სხვა, ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი და სულიერი ავადმყოფობაა. გვიყვარხართ და გვინდა, რომ გამოსწორდეთ. გთხოვთ -ნუ იცხოვრებთ ამ მომაკვდინებელ ცოდვაში და ნურც მის პროპაგანდას ეწევით.

ლელა ჭელიძე

„ნიუსპრესის“ ამერიკა-კანადის ბიურო

ბათუ სალინაძე: „ლევან კალაძის მკვლელები რომ არ მეპოვა, 7 წლით ციხეში ჩამსვეს“

ყოფილი პოლიტპატიმარი, ლევან ჯაღაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმის გამომძიებელი, პოლკოვნიკი ბათუ სალინაძეც საკანონმდებლო ორგანოს ხელისუფლებისა და იმ მხარეებს შორის, რომელიც ხელახლა გამოსაძიებელი, მისი საქმეც არის. ცნობილმა გამომძიებელმა 70 წლის ასაკში 7 წელი ციხეში გაატარა. პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის თაობაზე არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ამ ინტერვიუში მკითხველი მისი პატიმრობის წლებსა და გახმაურებულ საქმეებზე, რომელსაც ის იძიებდა, ბევრ ახალ დეტალს გაიგებს.

გულიკო ბალაძე



გთავაზობთ ინტერვიუს ბათუ სალინაძესთან

— ბატონო ბათუ, მოვლენები, რომელიც თქვენ ირგვლივ ვითარდებოდა, ვიცი ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ჩვენი ინტერვიუებიდან. „ახალი თაობა“ თქვენს სასამართლო პროცესებსაც აშუქებდა. მაშინ თქვენ საუბრობდით იმ მიზეზებზე, რის გამოც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯერ იმ კოტეჯიდან გამოგასახლათ, რომელიც სახელმწიფომ, როგორც აფხაზეთიდან დევნილს გადმოგცათ, ხოლო შემდეგ დაგაპატიმრათ. როგორ გაიარა პატიმრობის წლებმა?

— ვინც გამასამართლა და ვინც იქამდე მიმიყვანა, ყველამ იცოდა, რომ მე აბსოლუტურად უდანაშაულო ვიყავი. გარეგნულად ყველა თანაგრძნობას მიცხადებდა და პატივს მცემდა. შეურაცხყოფა რომ მოეყენებინათ, ასეთი ფაქტი არ ყოფილა, მაგრამ მე-5 საპყრობილეში როცა ვიყავი, მათ მოაწყვეს დაპირისპირება კრიმინალებთან.

— კონკრეტულად, ვისთან მოგიწყვეს დაპირისპირება?

— ციხეში პირველად დაპირისპირება მომიწყვეს შევარდნაძეზე აგვისტოს ტერაქტის ერთ-ერთ მომწყობთან. თავის დროზე მათ მთხოვეს, მაგ საქმის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე თემურ ქურდიანი დამედგინა და დამეკავებინა (როცა სასამართლო მიმდინარეობდა, დასჭირდათ). დავადგინე, რომ ქურდიანი მოსკოვში იმყოფებოდა, დავიჭირე და ჩამოვიყვანე. მასთან მქონდა ნორმალური, გამართული ურთიერთობა, როგორც ყველა დაჭერილთან, ვისთანაც მიმდინარეობდა მუშაობა. როცა გაურთულდათ სიტუაცია, დამიძახეს, თითქოს ადვოკატი იყო მოსული, ჩამიყვანეს ზონაში, სადაც ნამდვილი კრიმინალები არიან. არც ერთი თანამშრომელი (ყოფილი და მოქმედი) იქ არ იყო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, უცბად იღება საერთო კარი, თემურ ქურდიანი 7-8 კაცთან ერთად, ერთ ჯგუფად ჩამოდის და მიყენებს პრეტენზიას, შენ რაღაცაში შეცდიო. ისინი ირგვლივ შემომეხვივნენ და წრეში მომაქციეს. ამ დროს კიბეებიც გადავსებულია კრიმინალებით, ერთი ყოფილი თანამშრომელიც არ არის. მე კი მარტო ვარ. მივხვდი, რომ ორგანიზებული იყო. მე ერთი არასწორი ქმედებაც კი არ ჩამიდენია მის მიმართ და შევახსენე, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ახლა რასაც აკეთებ, არ არის კარგი. ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეჯახოთ, როგორ დამთავრდება, არავინ იცის, თუგინდ მე არ გადავრჩე, თავს მაინც მოგჭრიან იმისათვის, რომ ეს დაიმალოს-მეთქი. ცოტა იფიქრა, მერე თქვა, კარგიო, მის თანმხლებ ბიჭებს ხელი აუქნია და წავიდა იქ, სადაც თითო კაცი შედის ადვოკატებთან ერთად. მათ გაუღეს კარი და ყველა იქ შევიდა. მე მივაძახე, ვერ გავიგე, რა პრეტენზიები გაქვს-მეთქი. ხალხი ხომ უყურებს, რა ხდება — მე ცნობილი კაცი ვარ, ჩემთან კრიმინალები მოდიან და რაღაც ხდება. ისე, ერთხელ თუ მოიღუნე ციხეში, მეორე მიუმატებს და მერე ყველა დაგიწყებს დამცირებას. ამიტომ ვუთხარი, ვერ გავიგე, რა გინდა-მეთქი. მოიხედა, არაფერიო და წავიდა. ეს იყო კლასიკური სახის სიტუაციის შექმნა, რომ ნამდვილ კრიმინალებთან შეტაკება მქონოდა. ასეთი შეტაკებები აუცილებლად მთავრდება სიცოცხლის წართმევით. ღმერთმა გადამარჩინა. შემდეგ ბადრაგმა დერეფანში გამიყვანა და უნებართვოდ შევაღე უფროსის (მელაძის) კაბინეტის კარი — ვუთხარი, თქვენ ნაძირლებო, რას აკეთებთ-მეთქი. შემდეგ მელაძეს ვუთხარი, ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩემი ბიჭის ტოლი, რას აკეთებ-მეთქი. მე არავითარ საქმის კურსში არ ვარო. საქმის კურსშია ზევით ყველა, რომ მე უკანონოდ ვზივარ, შენ კი აქ საპყრობილის უფროსი ხარ, შენ გარდა ვინ მოაწყობდა იმას, რაც ახლა მოხდა-მეთქი. ტერაქტზე კაცი დავიჭირე და ახლა ჯგუფთან ერთად მომიგზავნეს, რომ ჩვენს შორის შეტაკება მომხდარიყო. მას ეყო გონება და შეტაკება არ შედგა. ღმერთი არ გაპატიებთ-მეთქი.

— მეორე დაპირისპირება ვისთან მოგიწყვეს?

— მეორე დაპირისპირება მომიწყვეს ასათიანთან, რომელიც კალაძის საქმეზეა დაპატიმრებული. მე მასთან შეხება არ მქონია. სანამ მე კალაძის საქმეზე დავიწყებდი მუშაობას, მანამდე იყო ინფორმაცია, რომ ასათიანი და ის ჯგუფი იყვნენ გამტაცებლები. ინფორმაცია შემოწმებული იყო. მე ამის თაობაზე მასალები არქივიდან ამოვაღებინე და გავიგე, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი იყო ზედმეტსახელად „ხალვა“, სვანი. თუ სწორად მახსოვს, გვარად ტვილდიანია. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ცნობილი გამტაცებელი და ნამდვილი კრიმინალია. (ახლო კავშირია გურჩიანთან, ონიანისა და გატაცების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა). როცა საბუთში ვნახე, რომ ამ ჯგუფს „ხალვამ“ სთხოვა და ორგანიზაცია გააკეთებინა, მაშინ მივხვდი, რომ აღნიშნული ინფორმაცია არაკვალიფიციურად გადაამოწმეს. ამიტომ მის გადამოწმებაზე მუშაობა დავიწყე. კონკრეტული დავალებები მივეცი, ოფიციალური რეზოლუციით, დაედგინათ ყველაფერი. უკვე ვიცოდით, რომ საზღვარგარეთ იყვნენ და ამ მიმართულებით წავიდა მუშაობა. მასთან სხვა შეხება არ მქონია. როცა სააპელაციო სასამართლოში ჩემი საქმე იხილებოდა, მე-5 საპყრობილის ბადრაგის მანქანები წავიდნენ და მე საღამომდე გამაჩერეს. სასამართლოდან გამომიყვანეს ძალიან გვიან. არავინ ჩანდა, მანქანები იდგა. უთხრეს, რომ ჯერ რუსთავის პატიმრები გამოეყვანათ.

— იმ დროს უკვე თქვენც რუსთავში ხომ არ იყავით გადაყვანილი, რატომ გამოგიყვანეს რუსთავის პატიმრებთან ერთად?

— მე ისევ მე-5 საპყრობილეში ვიჯექი. გამოაცხადეს, რუსთავის პატიმრები გამოიყვანეთო და მე გამიყვანეს. რუსთავში მე რა მინდა-მეთქი. იქ არის ხალხი, რომელიც გამოგიყვანს და მიგიყვანს მანქანამდე, მანქანაში დაგსვამენ და მერე სხვა ბადრაგს მიჰყავხარ. გამოვედი და იქ დამხვდა ალანია. გავიხედე და კიბიდან, საიდანაც მე ამოვედი, ამოდის ჯგუფი, 5-7 კაცი იქნებოდა. მათ შორის, ვიცანი ასათიანი, რომელიც ტელევიზიით მყავდა ნანახი, რომ ჩამოიყვანეს მაშინ. მოვიდნენ ჩემთან. მე მანქანაში წინა ადგილზე ვზივარ. მეუბნება, თქვენ არა ისეთი რამ განაცხადეთო.

— რაზე მიგანიშნებდათ? ისეთი რამ განაცხადეთ, რაც არ უნდა გეთქვათო?

— ასე გამოუვიდა. 2-3 კაცი მარჯვნიდან დამიდგა, 2-3 — მარცხნიდან და მომაქციეს რკალში. მივხვდი, რომ შეტაკება უნდა მომიხდეს და რითაც არ უნდა დამთავრდეს, ნებისმიერი სიტუაცია ჩემთვის დამღუპველია. ამიტომ მოვეფერე, არაფერი არ მითქვამს ისეთი, რომ თქვენ გტკენოდათ-მეთქი. რასაც ახლა აკეთებთ (ვიცი, რასაც აკეთებთ, დავალებულია), ამისთვის პირველს შენ მოგიღებენ ბოლოს-მეთქი, „ხალვას“ ვუთხარი. ეს წესია, საერთოდ, დამნაშავეთა სამყაროსი და დავალებების-მეთქი. შემართული ვდგავარ. მიყურა, მიყურა (როგორც ჩანს, მჩატე ბიჭი არ არის), მზერა გამოეცვალა, გაჩერდა (მე ველოდები, რომ ბიჭებს სიგნალს მისცემს, დამესხმებიან და ბრძოლა უნდა დავიწყო), შემდეგ დაბალი ხმით მითხრა, თქვენ სწორი გზით მიდიოდითო. შემდეგ სპეცმანქანაში შევიდა, წინ დაჯდა და მითხრა, არ გეწყინოს, ეს რაღაც გაუგებრობა იყო, თქვენ სწორი კაცი ხართო. მომხდარის გამო სათანადო განცდაც მქონდა — როცა ასეთი კლასიკური ფორმით ეწყობა კრიმინალებთან შეჯახების პროვოცირება და ღმერთი გიცავს. მაშინ საკანში რომ მივედი, ბიჭებმა აღელვება შემატყვეს. თანამოსაკნეებს ავუხსენი, რომ შემახვედრეს შემართულ ასათიანთან და იმ ჯგუფთან, სადაც შეჯახება გარდაუვალი იყო, მაგრამ ასათიანი და გამტაცებლები უფრო ადამიანურები არიან, ვიდრე ის, ვინც ეს მოაწყო ზევიდან. მთხოვეს, საქმეები გავაკეთე. ახლა კი მმარხავენ და მღუპავენ-მეთქი.

— ეს ორი ფაქტი — კრიმინალების დახვედრები ვისგან ეწყობოდა? რატომ უნდა მოეწყოთ კრიმინალებთან შეტაკების პროვოცირება? ციხეში ხომ ჩაგსვეს, მეტი რაღა უნდოდათ?

— როცა მე კალაძის საქმის გამოძიებას მოვკიდე ხელი, ყველამ იცოდა, რომ სწორი გზით მივდიოდი და მივდიოდი ფინიშამდე, ამაში ჩარეული იყო სპეცსამსახურების მაღალი თანამდებობის პირები. ამიტომ გადაიხადეს ფული, რომ მე საქმიდან ჩამოვეშორებინე. არ დავნებდი: ვწერდი, მოვითხოვდი, ვაწუხებდი პრეზიდენტს, გამოიხედეთ თვალში-მეთქი. „ტელეარხ 202“-ში გამოვედი ძალიან აგრესიულად. ამიტომ შემდეგ შეთითხნეს რაღაცები და ჩამსვეს. შეტაკება რომ მომხდარიყო, მე ბოლოს მომიღებდნენ და აღარ მოხდებოდა გაგრძელება.

— მე თქვენი არაერთი წერილი წამიკითხავს. ამ წუთშიც მე თქვენი სასამართლო პროცესების დროს გამოგზავნილი წერილი მიჭირავს ხელში, სადაც თქვენ გამტაცებლების ორგანიზატორებად ასახელებდით შს მინისტრს კახა თარგამაძეს, გვაზავას და სხვებს. ახლა თქვენ გამტაცებლების ორგანიზატორებს შორის დაასახელეთ ონიანი. მათი თანამოსაქმე ოქრუაშვილიც გამოგყავთ. სააკაშვილს პირადად მიმართავდით წერილით და არავითარი ზომა არ მიულია თქვენი დაცვისთვის. ანუ მთელი ეს შემადგენლობა, ყველა ერთად მოქმედებდა და ყველა ერთად იყო ჩართული კალაძის საქმის ჩაფარცხვის პროცესში?

— ეს ხომ ფაქტია. ამაზე გამოძიება უნდა ჩატარდეს. აღნიშნული დანაშაული ყველას დაუმტკიცდება, დაწყებული პრეზიდენტიდან. ამისთვის დასჭირდათ ჩემი 7 წლით ციხეში მოთავსება და პატიმრობის დროს კრიმინალებთან სასიკვდილო შეჯახებების მოწყობა. იბრძოდნენ იმისათვის, რომ რაღაც მოტივებით უარი მეთქვა, მეღიარებინა და მოვღუნულიყავი. ჩემი გადარჩენა ღმერთის ნება იყო. ციხიდან გამოვედი. ახლა მეტი მორალური უფლება მაქვს, ვთქვა, საიდან დაიწყო, ვინ იყო, ვინ მონაწილეობდა. ყველას მიმართ, პრეზიდენტის ჩათვლით, დამტკიცებულია, რომ ჩემ წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების მონაწილეები არიან. ყველაფერი დაიწყო ოქრუაშვილმა.

— ანუ დანაშაულებრივ კავშირში კახა თარგამაძე, სააკაშვილი, ონიანი ერთიანნი არიან?

— კახა თარგამაძეზე მე არ მითქვამს, რომ გატაცებაში მიიღო მონაწილეობა. ეგ, უბრალოდ, არაპროფესიონალი იყო. როცა მოხდა კალაძის გატაცება, კალაძის მამა წავიდა შევარდნაძესთან (შევარდნაძესთან მიესვლებოდა). შევარდნაძემ დაავალა კახა თარგამაძეს. კახამ გაახმაურა, მეტი ვერაფერი გააკეთა. საფრანგეთში ტარიელ ონიანისთვის ცნობილი გახდა, რომ ეს საქმე გახმაურდა, თქვა, მე ამ საქმიდან ხელს ვიბან, არაფერი მჭირდებაო და გატაცებული ლევან კალაძე ჩაუტოვა მათ, ვისაც გაატაცებინეს. ისინი აიბნენ. როგორ იყო, სად იყო, სად ჰყავდათ, ამაზე სხვადასხვა ინფორმაციები იყო. ქვემო სვანეთში ჩაატარეს ოპერაცია. მაშინ უკვე ნარჩემაშვილი იყო. როცა ქვემო სვანეთში ჩავედი და გადავამოწმე, მითხრეს, აქ ჰყავდათო. ჩამოვიდნენ ქუთაისში. ორ დღეს ემზადებოდნენ. შემდეგ ამათ გაიგეს და იქიდან გადაყვანა დასჭირდათ.

— სვანეთში, აფრასიძეებთან?

— არა, ქვემო სვანეთში „ხალვას“ ნათესავებთან. მერე როცა გაიგეს, იქიდან 10 კილომეტრით დაშორებულ სოფელში გადაიყვანესო, წაიყვანეს ზემო სვანეთში.

— ზემო სვანეთში ვისთან?

— ზემო სვანეთში აფრასიძეებთან მიიყვანესო.

— დადგინდა, რომ ნამდვილად აფრასიძეებთან მიიყვანეს? კალაძეების ადვოკატი დგებუაძე ამბობს, რომ ეს ტყუილი ინფორმაცია იყო.

— დგებუაძის ეს განცხადება არასწორია. მაგას არ ჰქონდა არავითარი დასაყრდენი ეთქვა, სწორია თუ არა, რადგან ინფორმაცია იყო, ინფორმაციას მივყვებოდი მე. როცა იქ ჩავედი, მითხრეს, ამ სახლში ჰყავდათ, იქ გადაიყვანეს და მერე ასე წაიყვანესო. მეუბნებიან, რომ მიიყვანეს აფრასიძეებთან. ლევან კალაძეს სწორი ნაწლავის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, ამიტომ მიდიოდა რკინიგზის საავადმყოფოში (მეზობლის მანქანით წავიდა). სვანეთის მთებში რომ გადაიყვანო კაცი (ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში), ძალიან ძნელია, თავისებური კვება უნდა. ასეთ პირობებში გაძლება ყველას არ შეუძლია. მით უმეტეს, ის არ იყო ჯანმრთელი, როგორც ჩანს. მეუბნებიან, იქ მივედი, მითხრეს, შემდეგ სად წაიყვანეს. ოპერატიული მუშაობა რომ ისწავლო, ამაზე აკადემიებს ამთავრებს ხალხი. 100 კაციდან ათისთვის თუ იქნება შედეგიანი, რომ მიჰყვეს ასეთ სამუშაოს. ინფორმაციას მოგცემენ, მაგრამ შეიძლება გატყუებენ. ამიტომ უნდა გადაამოწმო. მე გადავამოწმე აფრასიძეების ახლობლებით, სხვადასხვა ხალხით და მითხრეს, რომ კი, მოიყვანეს აქო. ლევან კალაძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაურთულდა და ექიმი ამოიყვანესო. ექიმის ძებნაც დავიწყე.

— ექიმი იპოვეთ, თუ უკვე აღარ დაგაცალეს?

— სანამ შევიდოდი კონტაქტში... ერთი ექიმის თაობაზე ინფორმაცია მომაწოდეს, ეს აიყვანესო, მაგრამ უცებ ვერ შეხვალ კონტაქტში, ინფორმაცია უნდა გადაამოწმო. ყველაფერი შენზე არ არის დამოკიდებული. ინფორმაცია ისე უნდა გადაამოწმო, რომ არ გახმაურდეს, არ დააფრთხო ხალხი და მერე მართალ ხალხს ჩირქი არ მოსცხო. მე უდიდეს პატივს ვცემ დგებუაძეს, მაგრამ იმას ეს განათლება არ აქვს. რის საფუძველზე აცხადებს კალაძე აფრასიძეებთან ჰყავდათ თუ არ ჰყავდათ, არ ვიცი. მეც ეჭვი მეპარება, შეიძლება არ ჰყავდათ, მაგრამ იმდენმა თქვა, კი, ჰყავდათო, უფრო იქით ვიხრები, რომ აფრასიძეებთან ჰყავდათ. კვალიფიციურად შემოწმებისთვის, კალაძეების ოჯახს დავაწერინე, 200 ათასი დოლარის თაობაზე (არ ჰქონდათ გაცხადებული), რომ საფუძველი მომცემოდა და გამოძიების გზით მივყევი მათ. დავრწმუნდი, რომ მაინც კითხვის ქვეშ რჩებოდა, ცხედარი სად იყო. ამიტომ ჰაერივით დამჭირდა თვითონ აფრასიძეები. ინფორმაცია მქონდა, რომ ომეხ აფრასიძე გატაცების გმირების თავკაცი იყო. ვფიქრობდი, ოპერაცია რომ ჩავატარო, ჯერ ამისთვის მზად არ ვარ. აუარებელი ოპერაციები ჩამიტარებია ქვემო და ზემო სვანეთში, მაგრამ არასოდეს გამისვრია. ეს კი საეჭვო იყო. ომის შემდგომი პერიოდია, ძალით აყვანაში რომ შემომაკვდეს, თან თანამშრომლები რომ მიგყავს, მათზეც პასუხისმგებელი ხარ. ამიტომ მათი მშვიდობიანად დათანხმება ვარჩიე. ამის გაკეთება შევთავაზე ვახტანგ ჯაფარიძეს, რომელმაც ადრე ევგენი დააკავა (სხვათა შორის, მეორე დღეს მომიტანა ახალი სურათები ევგენისა და მისი ბიჭების, ერთად გადაღებული), ვუთხარი, დაუკავშირდი აფრასიძეებს და უთხარი, რომ ოფიციალური ინფორმაციაა, რომ იქ მივიდა 200 ათასი. არის ეჭვი, რომ შეხება გქონდათ ამ საქმესთან. ეს რომ ნორმალურად დადგინდეს, დაუკავშირდი და შესთავაზე, ჩაგვბარდნენ, ითანამშრომლონ და ტკივილს არ მივაყენებ, სიმართლეს დავადგენ-მეთქი. ჯაფარიძე დაუკავშირდა და მითხრა, თანახმაააო. ამასობაში გავიგე, რომ ნინო ბურჭულაძე იყო ახლო ურთიერთობაში ოჯახთან და ომეხთან. ნინოს დავუძახე. მან რამდენიმე დღე მომთხოვა. ალბათ, ბოლომდე არ იცოდა ჩემი სიტყვის ძალა. მერე დამთანხმდა. მას ვუთხარი, მე იქ აგენტად არ გაგზავნი, რომ სიტყვა მომიტანო და გაგყიდო-მეთქი. ოჯახის წევრივით ხარ, შესთავაზე, უთხარი, რომ მე ვარ საღინაძე, მიმყავს კალაძის საქმე, ინფორმაციაა ასეთი, მათთან 200 ათასი მიიტანეს, რამდენი დაიტოვეს იმ 200 ათასიდან, მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტობრივად, საქმესთან შეხება ჰქონდათ და გამოძიებას ისინი სჭირდება. სიმართლე უმტკივნეულოდ რომ დავადგინოთ და მათთვისაც მისაღები ფორმით მოხდეს ეს, ჩაგვბარდნენ, თორემ მათ იციან, ოპერაცია სვანეთში არ მიჭირს. არ მინდა იქ ჯარის წაყვანა და რაკეტების სროლა. სადაც არ უნდა იყვნენ, დავადგენ და დავიჭერ-მეთქი. დაგვთანხმდნენ.

ავღანეთში ქართველი სამხედროები დაიღუპნენ

გუშინ ავღანეთში მორიგი ტრაგედია დატრიალდა. ქართულ სამხედრო ბაზაზე „თალიბების“ მორიგი შეტევის შედეგად 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

თავდაპირველად ინფორმაცია ქართველი სამხედროების დაღუპვის ინფორმაციას შესახებ ჯეიმს აპატურაიმ გაავრცელა. ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჯეიმს აპატურაი ქართველ ხალხს უსამძიმრებს იმ დანაკარგის გამო, რომელიც საქართველომ დღეს განიცადა. ამის შესახებ საუბარია პოსტში, რომელიც აპატურაიმ სოციალურ ქსელ ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა.

— ეს არის საშინელება და უფრო მეტიც, ასე მალე წინა შემთხვევებისაგან. სრულ სოლიდარობას გიცხადებთ ნატოს მხრიდან, — წერს ნატოს სპეციალური წარმომადგენელი.

პირველი

ამნისტიის კანონით სულ 8 696 ბრალდებულია გათავისუფლებული

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის 5 ივნისის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები სულ 8 696-მა ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა დატოვა.

გათავისუფლებულთა შორის 175 — პოლიტპატიმარია, 429 — მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 25 — არასრულწლოვანი.

5 ივნისის მდგომარეობითვე, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სულ 9 790 ბრალდებული და მსჯავრდებული იყო განთავსებული, რაც 2012 წლის 5 ივნისის მაჩვენებელთან (23525) შედარებით, 13 735 (58.4%-ით) ერთეულით ნაკლებია.

ნიუსპრესი

„ბატონ ივანიშვილს ვურჩევდი, შეეშვას პირად შუღლს და უაზრო შურისძიებებს!“

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

– ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რომლებიც შეეხება საზღვრის გადმოწევას, არის ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ხელისუფლება საკმაოდ, ასე ვთქვათ, მსუბუქად უყურებს ამ ყველაფერს. როგორ ფიქრობთ, რა შედეგებით შეიძლება, ეს პროცესები დამთავრდეს?

– ჩემთვისაც გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ანუ უმოქმედობა, მაშინ როდესაც ხდება საზღვრების გადმოწევა, ხდება მცოცავი ოკუპაცია, თუმცა, როდესაც კიდევ სამასი მეტრით იწევს საზღვარი, ამას უკვე მე მცოცავ ოკუპაციას ვერ დავარქმევდი. ეს არის იმ ოკუპაციის გაგრძელება, რომელიც რუსეთმა წლების წინ დაიწყო. საოცარია, როდესაც ქვეყანაში ხდება ასეთი აღმაშფოთებელი რამ, ამ დროს ხელისუფლება ძალიან მშვიდად არის და არცთუ დიდ ყურადღებას უთმობს ამ ფაქტს, იმის მაგივრად, რომ განგაში ატყდეს, ხელისუფლება სხვა, უფრო „მნიშვნელოვანი“ საკითხებით არის დაკავებული. მე მოვისმინე ზურაბ აბაშიძის განცხადება, რაზეც, სიმართლე გითხრათ, ძალიან გაოცებული დავრჩი. ის აცხადებს, რომ მას კარასინი დაჰპირდა ამ საკითხის შესწავლას და გარკვევას. მაინტერესებს, კარასინმა ვისთან უნდა გაარკვიოს ეს საკითხი, როდესაც მან ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, რომ რუსი ჯარისკაცები მოქმედებენ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მითითებით. თუ თავის მოტყუებაც ვაპირებთ, ეს უკვე სხვა საკითხია. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ვერც ერთი ჯარისკაცი ერთ ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამს ხელისუფლების მითითებისა და ნების გარეშე. ამიტომ თუ ხელისუფლება ამაზე არ აპირებს განგაშის ატეხას, მაშინ საზოგადოების მხრიდან უნდა მოხდეს ამ საკითხზე მწვავე რეაგირება, რათა ეს პროცესი შევაჩეროთ. ხელისუფლება, პრაქტიკულად, არაფერს არ აპირებს იმისათვის, რომ დაიცვას ქართული ინტერესები და მით უმეტეს არაფერი კეთდება იმისათვის, რომ დაიწყოს დეოკუპაციის პროცესი.

– ივანიშვილის განცხადებები ბოკერიასთან დაკავშირებით ორაზროვანია იმ კუთხით, რომ პირველი: შესაძლოა, უბრალოდ, ბოკერია უნდა პროვოკაციაზე წამოიკიდოს ხელისუფლებამ ანდა რეალურად შეშფოთდა ივანიშვილი, ასე ვთქვათ, უშიშროების საბჭოს „უმოქმედობით“, მაშინ როცა საქართველოს საზღვრები კიდევ სამასი მეტრით მცირდება, თუმცა აქ ბოკერიას „დანაშაული“ ძალიან მცირეა, რისი თქმა უნდა ამ შემთხვევაში ივანიშვილს?

– რაც შეეხება ბოლო დროს უშიშროების საბჭოს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს, ყველა ნორმალურ სახელმწიფოში უშიშროების საბჭოს სხდომა – ეს არის უმნიშვნელოვანესი რამ. სამწუხაროდ, ის, რაც ქვეყანაში ამ კუთხით ხდება, არის პირდაპირ გეტყვით დანაშაული ქვეყნის წინაშე და ამაში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს როგორც დღევანდელ ხელისუფლებას, ისე ნაციონალურ მოძრაობას, მათი უმოქმედობისა და ერთმანეთის შუღლის გამო ზიანდება სახელმწიფოს ინტერესები. მაშინ როდესაც ქვეყანაში ხდება საზღვრების კიდევ ერთხელ გადმოწევა, ამ დროს არ იკრიბება უშიშროების საბჭო და ქვეყნის მთავრობა ერთმანეთის ლანძღვით არის დაკავებული.

ის, რაც მოხდა საზღვრებთან დაკავშირებით, არის პირდაპირ ამ ხელისუფლების უნიათობიდან გამომდინარე და არა ბოკერიას დანაშაული. მე ამ დროის მანძილზე, რაც ხელისუფლება შეიცვალა. არ მახსენდება ბატონი ივანიშვილის არც ერთი განცხადება უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით და არც ერთხელ ბოკერიას გვარის დასახელება არ ყოფილა ანუ ახალ ხელისუფლებას ერთხელაც კი არ გახსენებია ამ უწყების არსებობა, ახლა კი, როდესაც ასეთი აჟიოტაჟია ატეხილი ამ თემასთან დაკავშირებით და ისევ საზოგადოების აქტიურობას უნდა ვუმადლოდეთ ამ ყველაფერს, რატომღაც უცებ ახსენდება ივანიშვილს, რომ თურმე არსებობს უშიშროების საბჭო და მისი ხელმძღვანელი გიგა ბოკერია და ტეხს ერთ ამბავს, რომ თურმე უშიშროების საბჭო პასიურობს და არაფერს აკეთებს. მე არ დავიწყებ ბოლო დროის მოვლენების გახსენებასა და შეფასებას, ეს ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ ერთს ვიტყვი, რომ ბატონი ივანიშვილის ყველა განცხადება გიგა ბოკერიასთან დაკავშირებით, არის კიდევ ერთი მცდელობა, საკუთარი დანაშაული გადააბრალოს ყოფილი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს. ხოლო რაც შეეხება გავრცელებულ მოსაზრებას ბოკერიას დაკითხვასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია – მოხარული ვიქნები, თუ ბატონი ივანიშვილი თავის გარემოცვაში აღმოაჩენს ბოკერიაზე უფრო კომპეტენტურ, გაუსვრელ და პროფესიონალ კადრს თავის გარემოცვაში, მე პირადად ამ ფაქტს, თუ ასეთი რამ არსებობს ბუნებაში, მივესალმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბატონ ივანიშვილს ვურჩევდი, შეეშვას პირად შუღლს და უაზრო შურისძიებებს, გადახედოს და რეალურად შეაფასოს საკუთარი გარემოცვა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილებები, მე შევახსენებ მას, რომ მუდმივი არაფერი არ არსებობს და არც მას აპატიებს ისტორია და ქართველი ხალხი შეცდომებს.

– სამართლიანობის აღდგენა უკვე ლამის ლეგენდად იქცა...

– გეთანხმებით, სამართლიანობის აღდგენა უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ეს წარსულს ჩაბარდა ისე, როგორც მეოცნებეების ბევრი წინასაარჩევნო დაპირება. მიმაჩნია, რომ თუ ხელისუფლებას უნდა სამართლიანობის აღდგენა რეალურად, სააკაშვილი ვერანაირად ვერ იქნება ამ პროცესის ხელისშემშლელი ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ მას არც ერთი ძალოვანი უწყების პირი ანგარიშს არ აბარებს, არც მისი დავალებების შემსრულებელი არ არის და, ფაქტობრივად, პრეზიდენტი დღეს არის უფუნქციოდ დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მას დღესაც კი ძალიან ბევრი ფუნქცია აქვს. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს რეალურად უნდა სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება და მისი ბოლომდე მიყვანა, ამაში სააკაშვილი ხელს ნამდვილად ვერ შეუშლის. ძალიან კარგია, როდესაც ივანიშვილი და მისი ხელისუფლება საუბრობს სამართლიანობის აღდგენაზე და ამ მოტივით ხდება ადამიანების დაპატიმრება, რომელთაც, ერთი შეხედვით, საკმაოდ შთამბეჭდავ ბრალს უყენებენ, ეს ხომ საზოგადოების დიდი ნაწილის დაკვეთაა, მაგრამ მე მაოცებს ერთი რამ – მარტო სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ დანაშაული ჩადენილი? გავიხსენოთ ის, რომ შევარდნაძის ხელისუფლების დროს უამრავი დანაშაული ხდებოდა: ბიუჯეტის ფულებსაც მრავლად იპარავდნენ, ქონების წართმევა, წილების ახევა, ყაჩაღობა, მკვლელობები, ადამიანთა გატაცება... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამიტომ, თუ რეალურად სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, რატომ ამ დანაშაულის ჩამდენთ არ სთხოვთ პასუხს? მე ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან და მანამ ამ სენისგან არ გავთავისუფლდებით, არანაირ სამართლიანობის აღდგენაზე არ იქნება საუბარი.

– საპრეზიდენტო არჩევნები თუ შეცვლის ქვეყანაში სიტუაციას?

– ჩვენს ქვეყანაში, ყველა ხელისუფლების დროს იყო პრობლემა არჩევნების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით, ამიტომ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში უნდა იყოს საზოგადოების მზაობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში დაინერგოს არჩევნების სამართლიანად ჩატარება. პოლიტიკურ არენაზე არის არის მხოლოდ ორი მოთამაშე, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ ძალებს, ისინი იმდენად უმოქმედო და ურეიტინგონი არიან, რომ მათ სერიოზულ ძალად ვერც განვიხილავ, თუმცა არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დრო და შესაძლოა გამოიკვეთოს რომელიმე ძალა, რომელიც ამ ორ პარტიას გაუწევს ღირსეულ კონკურენციას. რაც შეეხება ვარაუდს, რომ შესაძლოა სახელისუფლებო კანდიდატი შეიცვალოს, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ივანიშვილმა საკმაოდ ადრე დააანონსა მარგველაშვილის კანდიდატურა. წინ კიდევ საკმაო დროა და ამიტომაც არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

ახალი შრომის კოდექსის ვარიანტით ბიზნესი ისევ უკმაყოფილოა?

მერი ნამორაძე

შრომის კოდექსის ახალი ვარიანტით ბიზნესის ნაწილი ისევ უკმაყოფილოა. ვერ იქნა და მათი მოსაწონი პროექტი ვერ შექმნა იუსტიციის სამინისტრომ. ბიზნესს ისევ აშინებს პროფკავშირის გაძლიერება, ვადიანი ხელშეკრულების შეზღუდვა, სახელმწიფოს მიერ მასობრივი დათხოვნების რეგულირება თუ კოლექტიურ დავებში სახელმწიფოს როლის გაზრდა. გუშინ, „რედისონში“ „პიემ-სი კვლევითმა ჯგუფმა“ შრომის ბაზრის რეგულირების ეკონომიკური ანალიზი წარუდგინა საზოგადოებას. შეხვედრის მიზანს საზოგადოებისათვის შრომითი ბაზრის რეგულაციების მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის წარდგენა წარმოადგენდა. კვლევის ანგარიში მოიცავდა საერთაშორისო ემპირიული კვლევების, სხვა ქვეყნების გამოცდილებებისა და არსებული ცვლილებებისადმი ბიზნეს-ხელმძღვანელების დამოკიდებულებების კვლევის შედეგების ანალიზს. კვლევა ჩატარდა თბილისში არსებული მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს-ორგანიზაციების ხელმძღვანელების გამოკითხვის საფუძველზე.

როგორც პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი ჯერენაშვილმა აღნიშნა, კვლევამ აჩვენა, რომ შრომითი ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის რეგულირების გამკაცრება ცალსახად ზრდის ბიზნესმენის დასაქმებულთან დაკავშირებულ ხარჯებს და ამცირებს შრომით ურთიერთობებში შესვლისა და გასვლის თავისუფლებას. ხარჯების გაზრდა მეწარმეების მხრიდან შეამცირებს მოთხოვნას შრომის ძალაზე, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმების მაჩვენებელზე: უვადო ხელშეკრულების ტვირთის პირობებში კი მეწარმეებს ნაკლები სტიმული აქვთ, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები.

მაინც რატომ ხდება ჩარევა შრომის ბაზრის რეგულირების პროცესში? როგორც მომხსენებელმა ლაშა ჭაჭუამ აღნიშნა, სახელმწიფოების მიზანი ზოგადად თავისუფალი შრომის ბაზრის ნაკლოვანებები და ექსპლუატაციის მინიმიზაციაა. რა ხდება დღეს ქართულ სინამდვილეში? როგორც აღინიშნა, ხელისუფლება ახალი შრომის კოდექსით პროფკავშირების მონოპოლიური მდგომარეობის გამყარებას გეგმავს, გამკაცრდება ასევე შრომითი ხელშეკრულების რეგულირება, მოხდება მასობრივი დათხოვნის რეგულირება და კოლექტიურ დავებში ჩარევის უფლება მიეცემა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ამ ფონზე კი ბიზნესი უპრიანად მიიჩნევს, ჰქონდეს თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების საშუალება – შრომით ურთიერთობაში შესვლა თუ გამოსვლა თავისუფალი უნდა იყოს. გუშინ ბიზნესის ინტერესების წარმდგენი ჯგუფი ირწმუნებოდა, რომ არც ერთი შრომის კოდექსი სამუშაო ადგილებს არ ქმნის და მას მხოლოდ ბიზნესისათვის ახალი სამუშაო ადგილის შექმნის სურვილის ჩაკვლა შეუძლია.

ისე, საინტერესოა, ახლა რომ მოთქვამს, ახალი შრომის კოდექსით ვაი-უშველებელი დაგვემართებაო, არსებული შრომის კოდექსის პირობებში რატომ ვერ მოახერხეს ქვეყნის აყვავება და დასაქმების პრობლემის გადაჭრა? გუშინ რატომღაც დაავიწყდათ, რომ ბიზნესის მთავარი მტერი შრომის კოდექსი კი არა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ამინდი და სტაბილურობაა. პოლიტიკით დატერორებული ბიზნესით დარეგულირებული შრომის ბაზარი კი ვნახეთ ახლო წარსულში რაც იყო და როგორც ასაქმებდა ადამიანებს. იმ დროის დაბრუნება რომელ ბიზნესს უნდა აწყობდეს, საუბარი ზედმეტია.

ბიზნეს-ხელმძღვანელების დამოკიდებულების საკვლევად გამოიკითხა 251 ბიზნესმენი. რესპონდენტთა უმრავლესობა, მათ შორის 75 პროცენტი, ეთანხმება ვადიანი ხელშეკრულების გაფორმებას. ამასთან, 57% ფიქრობს, რომ ეს ცვლილება პოზიტიურად იმოქმედებს ბიზნესსექტორზე.

რესპონდენტთა უმრავლესობა, 79 პროცენტი, დაეთანხმა იმას, რომ გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადი უნდა იყოს და ამ ცვლილებასაც პოზიტიური გავლენა ექნება ბიზნესსექტორზე. გამოკითხულთა 76 პროცენტი ეთანხმება ზეგანაკვეთური სამუშაოს განსაზღვრას. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი ელოდება ამ ცვლილებით გამოწვეულ ნეგატიურ ეფექტს. გამოკითხულთა 83 პროცენტი ეთანხმება დებულებას, რომლის მიხედვით, დამსაქმებელი აანაზღაურებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს ან ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულს მიეცემა დამატებითი დასვენების დრო. მხოლოდ 1,4% ფიქრობს, რომ აღნიშნული ცვლილება ნეგატიურ გავლენას იქონიებს ბიზნესსექტორზე. რესპონდენტების უმრავლესობა ეთანხმება, რომ დასაქმებულს უფლება აქვს მიიღოს მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი დასაბუთება, რომელიც დამსაქმებელმა 7 კალენდარულ დღეში უნდა გასცეს. მოყვანილი შედეგები ადასტურებს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიზანი – დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინტერესთა დაბალანსება, რეგულირების სამართლიანი და ობიექტური კრიტერიუმების შემოღება და გაუმჯობესებული შრომითი ურთიერთობების დამკვიდრება – მიღწეულია.

მიუხედავად ამ ციფრებისა, ბიზნესის ნაწილი მაინც „მოთქვამს“ და დარწმუნებულია, რომ ახალი შრომის კოდექსის მიღების შემდეგ შრომითი ხელშეკრულების რეგულირების გამკაცრება გაზრდის ბიზნესმენის ხარჯებს, რაც შეამცირებს მეწარმის მხრიდან მოთხოვნას შრომის ძალაზე. მასობრივი დათხოვნისას სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევა გაზრდის ბიზნესისადმი სახელმწიფო ზეგავლენის წნეხს. პროფკავშირის ხელოვნურმა გაძლიერებამ კი შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური ეკონომიკის წილის ზრდა. ამ აზრს იზიარებდა გუშინ განხილვაზე მოწვეული საქმიანი ადამიანების უმრავლესობა.

მათ საპასუხოდ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ზურაბ სანიკიძემ აღნიშნა, რომ, კვლევის შედეგებით, ბიზნესის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიტიურია, თუმცა თავად კვლევის ავტორები ამ შედეგების ინტერპრეტაციას ახდენენ არასწორი კუთხით. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ბიზნესმენთა იმ მცირე ნაწილზე, რომელთა აზრითაც, ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს შრომით ურთიერთობებზე და ამ მცირე პროცენტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით გამოაქვთ საერთო უარყოფითი დასკვნები. შედეგად, ემპირიული კვლევების შედეგები არასწორად არის ასახული კვლევის ავტორების მიერ გაკეთებულ დასკვნაში. სანიკიძის თქმით, კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიზანი – დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ინტერესთა დაბალანსება, მიღწეულია.

ხელისუფლება ნაციონალებს 2 მლნ 400 ათასი ლარით აფინანსებს

შორენა გონგლაძე

„გიგა ბოკერია აქამდეც უნდა ყოფილიყო დაკავებული. ამ ადამიანმა მილიონობით თანხა მიითვისა ბიუჯეტიდან“– ეს განცხადება ქართული დასის ლიდერმა ჯონდი ბაღატურიამ გუშინ, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ბაღათურიას განცხადებით, ბოკერიას ასევე ბრალად ედება პატიმართა წამებაშიც.

– გიგა ბოკერია აქამდეც უნდა ყოფილიყო დაკავებული. ამ ადამიანმა მილიონობით თანხა მიითვისა ბიუჯეტიდან. ბოკერიას ბრალი ედება პატიმართა საკნებში წამების ფაქტების დასწრებაში. მათ შორის მოლაშვილის წამებაში. ამიტომაც არ შეიძლება ეს ადამიანი საზღვარგარეთ წარმოადგენდეს საქართველოს. ჩვენი სირცხვილია ის რომ პარლამენტში ვიცე-სპიკერად ზის გია ბარამიძე. ამიტომაც სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი გამოწვევა პარლამენტიდან. უნდა დადგეს ბენდუქიძის და კეზერაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც – აცხადებს ბაღათურია.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ პარტიის პროტესტი „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით იმან გამოიწვია, რომ ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ერთობლივ, ინტერფრაქციულ ფორმატს გარეთ.

– მათი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ დაფინანსება უნდა გაუორმაგდეს. „ნაციონალური მოძრაობის“ კრიმინალური ბანდა დღეს ბიუჯეტიდან იღებს 2 მლნ 400 ათას ლარამდე, ხოლო „ქართული ოცნება“ 3 მლნ ლარამდე“, – აცხადებს ბაღათურია. ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ „რესპუბლიკელების“ მხრიდან „ქართულ დასთან“ პროცენტებზე საუბარი არ არის მომგებიანი.

– გაცილებით უფრო მაღალრეიტინგულები ვართ და მეტი ელექტორატი გვყავს, ვიდრე „რესპუბლიკურ პარტიას“. ყველამ ვიცით, ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, 1%-ს ვერც ერთი ვერ ასცდებოდა და ჩემს პროცენტებზე საუბრის უფლება „ქართული ოცნებას“ საერთოდ არ აქვს, თუ ცოტა ზნეობა და ნამუსი აქვთ.“ – აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

მისივე თქმით, „ქართულმა დასმა“ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა იმიტომ არ მიიღო, რომ ხმები არ გაყოფილიყო. ბაღათურია ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილმაც სთხოვა არ შეექმნა ალიანსი.

– პროცენტები იმიტომ მაქვს დაბალი რომ ზაქარიაზე ნაკლები რეიტინგი მაქვს თქვენი აზრით? ან ხიდაშელზე და უსუფაშვილზე? ივანიშვილმა მთხოვა რომ არჩევნებში მათთვის ხმები არ გამეყო, – აცხადება ბაღათურია. მისივე თქმით, მათ მეტი ელექტორატი ჰყავთ ვიდრე „რესპუბლიკურ პარტიას“.

– ეს ხალხი ივანიშვილის კალთის ქვეშ მოვიდა ქართულ პოლიტიკაში. გაგიგიათ ვინმე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ვინმე „რესპუბლიკელი“ ეწამებინოს? ნაციონალური მოძრაობა არის კრიმინალური ბანდა, ივანიშვილის მთავრობა ამ პარტიას აფინანსებს 2 მილიონი ლარით. ჩვენ ბევრად მეტი ელექტორატი გვყავს ვიდრე „რესპუნლიკურ პარტიას“. ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას იმიტომ არ მივიღეთ რომ მე პირადად მთხოვა ივანიშვილმა ხმები არ გაგვეყო. ამიტომაც ყველა ოლქში მოვხსენი კანდიდატები. ეხლა ამათ ნამუსი აქვთ? მე ზაქარიაძეზე ან უსუფაშვილზე ნაკლები რეიტინგი მაქვს? – აცხადებს ბაღათურია.

ხათუნა ლაგაზიძე: „დასავლეთს საქართველო ძველებურად აღარ აინტერესებს“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ ექსპერტთან უსაფრთხოების საკითხებში ხათუნა ლაგაზიძესთან

– საოკუპაციო საზღვრის გადაწევასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება დაბნეულია. პრემიერ-მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ არ ესმის, რუსეთი რატომ მოიქცა ასე, თუმცა კარგად გვესმის, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. რას ელოდებიან რუსები საქართველოს ხელისუფლებისგან?

– მართალია, საქართველოს ხელისუფლება ძალიან დაიბნა, როცა საოკუპაციო ზოლის გადმოწევა მოხდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ახალი ხელისუფლების პირობებში რუსეთმა განახორციელა მცოცავი ანექსია. ერთი შეხედვით, რუსეთის ეს ნაბიჯი ალოგიკურია პირველი იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში დააანონსა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ამ სურვილის რეალიზაცია დაიწყო იმით, რომ აგრესიული რიტორიკა რუსეთის მიმართ შერბილდა, შეიტანა ცვლილება ოკუპაციის შესახებ კანონში, დაიწყო აბაშიძე-კარასინის შეხვედრები და ა.შ. მეორე მიზეზი რუსეთის ამ ალოგიკური ნაბიჯისა ის არის, რომ საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი ისე მიიღტვის რუსეთისკენ, როგორც არასდროს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ცხრაწლიანი ზედასავლური რეჟიმის მმართველობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოს საზოგადოების საკმაოდ სოლიდური ნაწილი სულაც არ არის ამ დასავლური გზის მომხრე და დიდი სიამოვნებით დაადგებოდა გზას რუსეთისკენ. ხალხში დაისადგურა დასავლეთის მიმართ იმედგაცრუების გრძნობამ. რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ თუ დასავლეთმა იმედი გაუცრუა, რუსეთი იქნება ამ იმედების ამსრულებელი, ეს არის საოცარი. დუგინის ინტერვიუ იყო ძალიან საინტერესო, რას უმზადებს რუსეთი თანამედროვე საქართველოს. რუსეთის ხელისუფლება უკმაყოფილოა საქართველოს ხელისუფლების მიერ დაახლოებისკენ აღებული კურსის ტემპით, კონკრეტული ნაბიჯები, რასაც დათმობას ვუწოდებდით, არ გადადგმულა. რუსეთს სურს მაქსიმუმის მიღება. ერთმა ძალიან ჭკვიანმა ადამიანმა, როდესაც მოხდა საოკუპაციო ზოლის გარღვევა, თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილიც როცა მოვიდა ხელისუფლებაში, კეთილგანწყობილი იყო რუსეთისადმი, მაგრამ რითი დასრულდა ეს სათანამშრომლოდ აღებული გეზი, კარგად ვნახეთ. სააკაშვილმა იმდენი გაუკეთა რუსეთს, რომ ამას თავად საოკუპაციო რეჟიმი ვერ შეძლებდა. სააკაშვილმა პუტინს თვალებში ჩახედა და დემოკრატიის უფსკრულები დაინახა, იქამდე ვიდრე დამამცირებელი მეტსახელი უწოდა პუტინს, ზღვარი ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა.

– მაინც რა დათმობებს ელოდება ჩვენგან რუსეთი?

– დსთ-ის სივრცეში მიდის საინტერესო პროცესები. როცა ჩვენთან რუსეთმა გამოარღვია საოკუპაციო ზოლი, უკრაინამ გაარღვია საბაჟო კავშირი და შევიდა მასში დამკვირვებლის სტატუსით. ორი აზრი არ არსებობს იმაში, რომ ეს არის რუსეთის აშკარა გამარჯვება პოსტსაბჭოთა სივრცეზე. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და პოლიტიკაშიც ასეა, მიდის პროცესები აზერბაიჯანში, რაზეც ქართული მედია ნაკლებად საუბრობს, თითქოს ამით სოლიდარობას უცხადებს აზერბაიჯანის დღევანდელ ხელისუფლებას, რეალობა ისაა, რომ რუსეთში მუშავდება გეგმა აზერბაიჯანის დღევანდელი ხელისუფლების ჩანაცვლებისა რუსეთისადმი უფრო ლოიალური ან უფრო უარესი, პრორუსული ხელისუფლებით. დასავლეთის ბოლო ციტადელი საქართველოა, სადაც საზოგადოების ერთი ნაწილი მზად არის, გაიქცეს რუსეთისკენ. რუსეთმა კიდევ უფრო დააკონკრეტა თავისი მიზნები და გავრცელდა ინფორმაცია, რომ საოკუპაციო საზღვრის გასწვრივ ორასი კოტეჯი აშენდება, სავარაუდოდ, რუსი სამხედროებისთვის. რამდენადაც მითხრეს, მორატორიუმი გამოცხადდა ქართული ღვინისა და სხვა პროდუქციის შეტანაზე.

– დიახ, ონიშჩენკომ განაცხადა, რომ ივნისში ქართული ღვინის შემოწმება არ იგეგმება.

– რა ენის მოჩლექითაც არ უნდა ელაპარაკო რუსეთს, ის ამ პოლიტიკას არ შეცვლის. მას სჭირდება საქართველო, როგორც არარსებული სახელმწიფო. ამ მხრივ იყო დუგინის ინტერვიუ საინტერესო, საზღვრის გადმოწევის გამო რა აჟიოტაჟი ატეხეთ, როცა ყველა შემოხვალთ ევრაზიის კავშირში, აფხაზეთი, ოსეთი და საქართველო, იქ საზღვრები საერთოდ არ იქნებაო. პარალელებს ავლებს ევროკავშირთან, სასაცილოა, შეადარო რუსეთი თავისი ამბიციებით და ევრაზიის კავშირი, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გაერთიანების პრინციპებს. რუსეთს სურს, საქართველო იხილოს საზღვრების გარეშე რეალურად რუსული სივრცის ნაწილად. რა სახის სუვერენიტეტი ჰქონდა საქართველოს საბჭოთა კავშირის დროს ხომ ვიცით, ფორმალურად იქ საზღვრები მაინც იყო. დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ ერთ რუსულ საიტზე საინტერესო ინტერვიუ იდო. რუსეთის მიერ საქართველოს გაკონტროლების გეგმა იყო წარმოდგენილი. ერთი გეგმა იყო სრული ოკუპაცია, მეორე იყო საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება მართვადი ქაოსის მეშვეობით. მესამე გეგმა, სამწუხაროდ, არ მახსოვს, პირდაპირი ოკუპაცია ევროპისა და დასავლეთის აგრესიას გამოიწვევსო, ასე სჯობს, მუდმივ ქაოსში ჩააგდო და მერე დაქუცმაცებული რეგიონები აკონტროლო და საბოლოოდ მთლიანად ხელთ იგდოო.

– მეორე გეგმა ჰგავს ორი საუკუნის წინ ერეკლე მეორის მმართველობის პერიოდს, როცა საქართველო დაშლილი იყო, ერეკლე კი იძულებული გახდა, ტრაქტატისთვის ხელი მოეწერა.

– ძვალივით აქვს რუსეთს საქართველო გაჩხერილი. მისთვის იდეალური გეგმაა ამ ძვლის დაქუცმაცება და ადვილად მონელება.

– ამ ცოტა ხნის წინ გავრცელდა უცნაური ინფორმაცია, რომ სომხეთი აპირებს, სრულად შევიდეს რუსეთის შემადგენლობაში.

– არ წამიკითხავს, შეიძლება, საუბარია საბაჟო კავშირზე. ეს ძნელად წარმოსადგენია მრავალი მიზეზის გამო. პირველი გეოგრაფიული მიზეზია, გამოდის, რომ საქართველო ხურდაში მიჰყვება სომხეთს და თავადაც იძულებული იქნება, რომ გახდეს რუსეთის შემადგენელი ნაწილი. ყველასგან ითხოვს რუსეთი მაქსიმუმს. რაც მეტს დაუთმობ, მით უფრო მეტს მოითხოვს. იმის ილუზია, რომ რუსეთი შეიცვალა, რომ პუტინის მერე ვინც მოვა, ის უფრო ნორმალური იქნება, არასწორია. როცა ანალიზს აკეთებ, იმ ობიექტის ტყავი უნდა მოირგო, ვისი ქმედებების ანალიზსაც აკეთებ. რუსეთის ქმედებები, რასაც ის ახორციელებს სამეზობლოს მიმართ, გამომდინარეობს მისი უსაფრთხოების ინტერესებიდან. ერთი შეხედვით, რა საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს საქართველო თავისი პატარა ტერიტორიით რუსეთისთვის, არარსებული ეკონომიკითა და მცირერიცხოვანი ჯარით, მაგრამ ის რეალური საფრთხეა, დასავლეთის ფორპოსტია რუსეთის საზღვართან. თუ საქართველო შევა ნატოში, რუსეთს კავკასიიდან მოებჯინება ნატო. ამიტომ ცდილობს რუსეთი, საქართველო არა მარტო გახადოს მისთვის სასურველი ალიანსის წევრი, არამედ, იმდენად გადატეხოს წელში, რომ თვალსაწიერ მომავალში მას არასოდეს გაუჩნდეს სურვილი სხვა ალიანსში გაერთიანებისა და სხვა მხარეს ცქერისა.

– საინტერესოა, ამ დროს როცა რუსეთს ეს რეალური გეგმები აქვს, დასავლეთი რითია დაკავებული?

– დასავლეთი გადაერთო აღმოსავლეთზე, აშშ-მ შეასუსტა თავისი ინტერესი დსთ-ის ყოფილი სივრცის მიმართ. ბზეჟინსკის თეორია იყო, თუ არ ვცდები, რუსეთის გარშემო ბუფერული ზოლის შექმნის შესახებ, მე მგონი, დღეს ამ თეორიამ აქტუალობა დაკარგა. ამერიკა სულ უფრო მეტად კონცენტრირდება აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის რეგიონზე, იქ იქნება სამომავლოდ ეკონომიკური ბუმი. ხვალ და ზეგ დასავლეთი შეიძლება ისევ დაინტერესდეს საქართველოთი, მაგრამ, სანამ ეს ვაკუუმი არსებობს, რუსეთი ცდილობს ისარგებლოს ამით და რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს.

– აშკარად შესამჩნევია რომ ობამას მოსვლის შემდეგ ამერიკაში საქართველოსადმი ინტერესი შენელდა, გარდა ამისა, ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისგან საქართველოსადმი დიდ გულშემატკივრობას ვერ ვხედავთ. ეს სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს საქართველოს. გამოდის, რომ უნებლიე იზოლაციაშია. რითი აიხსნება ეს პროცესები?

– აბსოლუტურად გეთანხმებით, 2010 წელს რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილმა, დღევანდელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა, აღნიშნა, შეიძლება საქართველო დაბრუნდეს რუსეთის ორბიტაზეო, რადგან დასავლეთი ძალიან პასიურია საქართველოს მიმართ. სულ მხოლოდ სამი წელი დასჭირდა ამას, რომ ამის რეალური კონტურები გამოკვეთილიყო. არა მარტო საქართველოს საზოგადოების ნაწილია იმედგაცრუებული, არამედ დასავლეთიდანაც შემხვედრი მოძრაობაა.

– დასავლეთს გული აუცრუვდა კონკრეტულად სააკაშვილის ხელისუფლებისადმი თუ საქართველო არ არის საინტერესო სტრატეგიული ზონა მისთვის?

– ამერიკის ინტერესები კონცენტრირდება აღმოსავლეთითა და წყნარი ოკეანის მიმართულებით. კავკასიის რეგიონმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. საინტერესოა კონფლიქტების თემა. ჩვენთვის კარგად ცნობილმა ანალიტიკოსმა თომას დე ვაალმა სტატია გამოაქვეყნა აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტასთან შეხვედრის შემდეგ, კოსოვოსა და აფხაზეთის ანალოგიის თემამ გაიჟღერა. მემარჯვენე ლეიბორისტული მიმართულების აფხაზური ელიტა მომხრეა, რომ რაც შეიძლება მეტმა ქართველმა აიღოს აფხაზური პასპორტი, ამ გზით რომ მოხდეს მისვლა კოსოვოს მოდელამდე. დე ფაქტო აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივან სტანისლავ ლაკობას აზრით კი ეს არის აფხაზური სახელმწიფოებრიობის დასასრული, ერთ დღეს თუ აღმოჩნდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია, ეს ბევრი რამის მიმანიშნებელი იქნება. საქართველოს ხელისუფლებაშიც განიხილება აფხაზური პასპორტების თემა. პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს წამოსცდა კოსოვოს თემა აფხაზეთთან მიმართებით. არ ვიცი, ეს რა მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ დასავლეთში, ვიცი, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ეს ჩვენთვის, აქტიურად განიხილება ეს გეგმა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება აფხაზეთი დასავლეთმაც აღიაროს და ამით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი დაარღვიოს?

– თუ საქართველომ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ეს, დასავლეთელი ექსპერტების აზრით, იქნება რუსეთის დაშლის დასაწყისი. ევროპის სხვა სახელმწიფოებიც არ დარჩებიან ამ ტენდენციის მიღმა.

– მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ირლანდიის პრობლემით, ესპანეთი, ბასკებით?

– დიახ, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მსგავსი პრობლემა შეიქმნას. ნაკლებად ვფიქრობ, რომ რუსეთის დაშლა ევროპის გულისწადილი იყოს, მაგრამ ამერიკისთვის ეს შეიძლება იყოს მოვლენების განვითარების ერთ-ერთი სასურველი სცენარი. თუ საქართველო ამაზე წავიდა, ეს იქნება რუსეთის დაშლის მომასწავებელი.

– ამით საქართველო განადგურების პირას მივა?

– რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიიდან წამოსული უამრავი ლტოლვილისა და მებრძოლთა მასების საქართველოში შემოდინება მოხდება, ქვეყანა თავის უსაფრთხოებას ვერ დაიცავს. რუსეთის უკონტროლო დაშლა, პირველ რიგში, საქართველოს წალეკავს. ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ აქ შეიძლება ნახონ საქართველომ და რუსეთმა გადაკვეთის წერტილები. რუსეთისთვის ბევრი პრობლემა მოიხსნება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დასრულების შემთხვევაში. ჩრდილო კავკასიასაც არსად ექნება გასაქცევი. ამიტომ ურჩევნია რუსეთს, ჩეხის გზით იაროს, ევროპელ ლიდერებთან შეიძლება ამ თემის აქტუალიზაცია, რომ თუ დაიწყება რუსეთის დაშლა, ეს იქნება ევროპისთვის სერიოზული კატაკლიზმების სათავე და რომ იმაში დაგვეხმაროს, შევძლოთ რუსეთთან ამ თემაზე დიალოგის დაწყება. რუსეთი არ არის პარტნიორობაზე ორიენტირებული ქვეყანა. ეს მისი პოლიტიკური კულტურის თვისება არ გახლავთ. რუსეთთან მარტო თუ დავრჩებით, ის წავა ბოლომდე.

– ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც კი ნატოს დელეგაციები ჩამოდიან, რუსეთი მიმართავს ძალისმიერ მეთოდებს. თუ ტერიტორიების სანაცვლოდ ვიტყვით ნატოზე უარს, ეს რას მოგვიტანს? ამაზე ბევრი საუბრობს.

– ეს არაფერს შეცვლის. ნატოს თუ უნდა, რომ ეს რეგიონი არ დაკარგოს, მან უნდა მიიღოს უპრეცედენტო გადაწყვეტილება და მისცეს საქართველოს მაპი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საქართველო მზად ამისთვის.

– ჩვენი დიპლომატია უნდა გააქტიურდეს, გონივრული და მოზომილი ნაბიჯები უნდა გადადგას, დაბნეულობა იგრძნობა. აქედან გამომდინარე, რა გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ხელისუფლებამ?

– ჩვენ ვცხოვრობთ საინტერესო და, იმავდროულად, სახიფათო ეპოქაში. თუ ბზეჟინსკის თეორიამ ბუფერული ზონების შესახებ აქტუალობა დაკარგა, მაშინ იმ რეალობიდან უნდა ამოვიდეთ, რის წინაშეც შეიძლება დავდგეთ. რისკია ჩვენთვის უკრაინის შესვლა დამკვირვებლის სტატუსით საბაჟო კავშირში, რისკია ის, რაც შეიძლება მოხდეს აზერბაიჯანში, რისკია ის, რაც ხდება თურქეთში. თუ ერდოღანის ხელისუფლების ჩამოშორება სუფთად განვითარდება, საქართველოს ხელისუფლებას ექნება თურქეთის ახალ ხელისუფლებასთან უფრო მრავალმხრივი თანამშრომლობა. საეჭვოა, პაერკლის დემონტაჟის პროცესები რომ ასსეტ მასშტაბურ ანტისახელისუფლებო დემონსტრაციებში გადაიზარდა. ერდოღანის მიმართ თმენის ვალდებულება თურქეთის ყველაზე დიდ სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკას, ამოეწურა. პროცესები არაბული სცენარით რომ განვითარდეს, ეს საქართველოსთვისაც საფრთხე იქნება, საქართველოს შეიძლება მოაწყდეს ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი. აჭარის რეგიონში დემოგრაფიულ ფონს ეს შეცვლის. ნაკლებ სავარაუდოა მოვლენების ასე განვითარება თურქეთში, იმიტომ რომ ის ნატოს წევრია და ამერიკა არ დაუშვებს იქ მსგავს არეულობას. მაქსიმალურად კვალიფიციური უნდა ვიყოთ საგარეო ურთიერთობებში, რადგან პატარა შეცდომაც კი ჩვენთვის საბედისწერო იქნება.

კახა კუკავა: „კბილაშვილმა წარმოუდგენელი სისულელე თქვა“

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადადგომას ითხოვს.

კახა კუკავა კბილაშვილს უუნარობაში ადანაშაულებს და ამის არგუმენტად, კბილაშვილის მიერ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებულ განცხადებას ასახელებს.

როგორც ცნობილია, მთავარმა პროკურორმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ არ განიხილება იმ სპეცრაზმელების დასჯის საკითხი, რომლებიც 26 მაისს შეკრებილ მანიფესტანტებს სასტიკად გაუსწორდნენ.

„მაინტერესებს კბილაშვილის, როგორც იურისტის განმარტება იმ ეპიზოდზე, როდესაც 26 მაისს ოთხ ადამიანს კლავენ და მერე ორ მათგანს უნივერმაღის სახურავზე შემოაგდებენ. რა ერქვა ამ ოპერაციას? ოპერაცია დაკავება, ოპერაციას „სახურავზე შემოგდება“ თუ ოპერაცია დაშინება. რაც ბატონმა კბილაშვილმა ბრძანა, წარმოუდგენელი სისულელეა“ – განაცხადა კახა კუკავამ.

ნიუსპრესი

მაია ფანჯიკიძე გაერო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, გაეროს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს შეხვდა. შეხვედრა ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გენერალური მდივანი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარებით დაინტერესდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ბოლო დღეებში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაცია მიაწოდა. საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერირორიებზე არსებულ ჰუმანიტარულ ვითარებას და დევნილთა შესახებ რეზოლუციას, რომელიც გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე 13 ივნისს განიხილება. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მას იმედი აქვს, რომ რეზოლუციაზე მხარდამჭერთა რიცხვი გაიზრდება.

საქართველოს სააგრეო საქმეთა მინისტრმა და გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ისაუბრეს ჟენევის დისკუსიებზეც. ბან კი მუნი საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის – კარასინ-აბაშიძის ფორმატით და ამ მოლაპარაკებების მიმდინარეობით დაინტერესდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფება. მაია ფანჯიკიძემ უკვე გამართა შეხვედრები ნიუ-იორკში, გაერო-ს წევრი ქვეყნების, ხოლო ვაშინგტონში – სენატისა და თეთრი სახლის წარმომადგენლებთან.

ნიუსპრესი

ანზორ ერქომაიშვილი: „ქართული ხალხური სიმღერა კაცობრიობის საგანძურია“

ეკა ირემაშვილი

11 ივნისს ფონდი „ქართული გალობა“ ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით რუსთაველის თეატრში გამართავს საზეიმო კონცერტს „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ფონდის ოფისში ფონდის საბჭოს წევრებმა ანზორ ერქომაიშვილმა და ლექსო თორაძემ გამართეს პრესკონფერენცია და მიწვეულ ჟურნალისტებს გააცნეს ფონდის შესახებ ინფორმაცია, ასევე მიღწეული წარმატებები და სამომავლო გეგმები. ფონდის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს საზეიმო კონცერტის „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“ შესახებ, რომელიც რუსთაველის თეატრში შედგება.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საზეიმო კონცერტში, რომელიც ფონდის პირველი ღონისძიებაა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართული ტრადიციული შემოქმედების ყველაზე გამორჩეულმა ოსტატებმა მიიღონ მონაწილეობა. ფონდი „ქართული გალობა“ ღვაწლმოსილ ადამიანებს საპატიო ჯილდოებსა და ფულად პრემიებსაც გადასცემს. ამ ფონდის საქმიანობით ხელს შევუწყობთ ჩვენი ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ტრადიციული სიმღერისა და გალობის განვითარება-პოპულარიზაციას. ეს იუნესკომ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერებისა და ხელოვნებამ ნაწარმოებად აღიარა, – განაცხადა ანზორ ერქომაიშვილმა.

მისივე თქმით, ფონდის მიზანია ხალხური შემოქმედების ხელშეწყობა და ტრადიციული ქართული სიმღერისა და გალობის პოპულარიზაცია. ფონდის საქმიანობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ტრადიციული გალობისა და სიმღერის მეცნიერული კვლევა, უძველესი ნიმუშებისა და ჩანაწერების მოძიება-აღდგენა, შესაბამისი აუდიო, ვიდეო და ელექტრონული ვერსიების გამოცემა.

– ჩვენი ფონდი ხელს შეუწყობს ტრადიციული მუსიკის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს ამ მიმართულებით და ნაშრომთა გამოცემას, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების გამართვას. დიდი ყურადღება დაეთმობა ტრადიციული მუსიკის სწავლებას, ლოტბართა და რეგენტთა დასაქმებისათვის ხელშეწყობას, განსაკუთრებით სამრევლო სკოლებისა და გალობის ცენტრების შექმნას საზღვარგარეთის ქართულ ეკლესიებთან. ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის პოპულარიზაციისათვის ფონდი საქართველოსა და უცხოეთში კონცერტების, საღამოებისა და ფესტივალების ორგანიზებას შეუწყობს ხელს. ასევე მართლმადიდებელი სამყაროს ტრადიციული გალობის და ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებში ქართული გუნდების მონაწილეობას და ანალოგიური ფესტივალების გამართვას საქართველოში. ფონდის საქმიანობაში პრიორიტეტული იქნება რეგიონებში ტრადიციული მუსიკის აღორძინებისათვის ხელშეწყობა. ფონდი ითანამშრომლებს ტრადიციული მუსიკით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან და პირთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, – ითქვა პრესკონფერენციაზე.

ფონდი „ქართული გალობა“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა დააფუძნა, რომელიც წლებია ხელს უწყობს ტრადიციული გალობისა და სიმღერის პოპულარიზაციას. მისი თანადგომით 2006 წელს დაფუძნდა საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც მაღალკვალიფიციურ რეგენტებსა და ლოტბარებს ამზადებს. გაიხსნა სკოლები ოზურგეთსა და სტეფანწმინდაში, ტიხრული მინანქრის სახელოსნო სნოში, სამრევლო სკოლა ლონდონში, აიგო ტაძარი ოზურგეთში. ასევე დაფინანსდა არაერთი კონცერტი და ფესტივალი, გამოიცა არაერთი წიგნი და აუდიო პროდუქცია ტრადიციული მუსიკის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე.

– ჩვენ საბედნიეროდ დიდი საგანძურის მფლობელები ვართ, ეს არის ქართული ხალხური სიმღერა და გალობა. ამიტომაც ჰქვია ფონდის პირველ კონცერტს „ქართული ხალხური სიმღერა – კაცობრიობის საგანძური“, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართება. ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ მოვუაროთ იმ დიდ საგანძურს, რასაც ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია, – განაცხადა ფონდის წარმომადგენელმა პიანისტმა ლექსო თორაძემ.

პრესკონფერენციაზე რამდენიმე საგალობელი და სიმღერა შეასრულა ანსამბლმა „ბასიანი“. ანზორ ერქომაიშვილმა ჟურნალისტებს ის პრიზებიც უჩვენა, რომელიც 11 ივნისს ყველაზე რჩეულ ლოტბარებს გადაეცემათ. რუსთაველის თეატრში დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი, ლექსო თორაძე, ანსამბლები „რუსთავი“, „სახიობა“, „შავნაბადა“, „დიდგორი“, „ბასიანი“, „ელესა“ და ბავშვთა გაერთიანებული გუნდი.

ფონდის „ქართული გალობა“ საბჭოს წევრები არიან ლექსო თორაძე და ანზორ ერქომაიშვილი, ფონდის საპატიო პრეზიდენტია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II. ფონდის აღმასრულებელი დირექტორია ნანა გოთუა. ფონდის პროგრამების ხელმძღვანელები კი გიორგი დონაძე და სვიმონ ჯანგულაშვილი არიან.

გურამ ოდიშარია კულტურათაშორის დიალოგში ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში იმყოფებოდა, სადაც კულტურათაშორისი დიალოგის მეორე მსოფლიო ფორუმში ჩაერთო.

კულტურათაშორისი დიალოგის მეორე მსოფლიო ფორუმი ჰეიდარ ალიევის კულტურის ცენტრში გაიხსნა, რომელშიც მონაწილეობა 30-მდე ქვეყნის კულტურის მინისტრმა მიიღო. ფორუმის მთავარი თემა იყო „ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად მარავლფეროვან მსოფლიოში“. ფორუმი აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის პატრონაჟით გაიმართა, რომელმაც გახსნის ცერემონიაზე ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

გურამ ოდიშარია ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრს აბულფაზ გარაევს შეხვდა, რომელიც წინა თვეში სტუმრად საქართველოში იმყოფებოდა.

შეხვედრის შედეგად შედგა შეთანხმება, რომ 2013 წლის ივლისის თვეში საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრები ერთად მოინახულებენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ აზერბაჯანულ და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ დასახლებებს და იქაურ მოსახლეობას შეხვდებიან. გარდა ამისა, მინისტრები მანქანით მოივლიან კასპისა და შავ ზღვებს შორის არსებულ ტერიტორიებს, სადაც სამომავლოდ ტურისტული მარშრუტების ამოქმედება იგეგმება.

აზერბაიჯანში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ოფიციალური ვიზიტის დროს სხვადასხვა შეხვედრები გამართა, ამავე დროს მან ბაქოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიც მოინახულა.

საქართველოში დაბრუნებულმა მინისტრმა სამინისტროს ბენეფიციართან გიორგი შარაშიძესთან შეხვედრა გამართა. გურამ ოდიშარიას შპს „გაზეთ ჯორჯია თუდეის“ წარმომადგენელი გიორგი შარაშიძე ეწვია. სამინისტროსგან გაზეთმა მიიღო მხარდაჭერა საგამომცემლო მომსახურებისთვის. „ჯორჯია თუდეი“ ყოველთვიურად გამოსცემს გზამკვლევს „თბილისი აუთს“. ამ გამოცემაში შესულია ინფორმაცია თბილისში არსებული კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრებისა და გალერეების შესახებ. „თბილისი აუთი“-ს შეძენა შესაძლებელია ჯიხურებში და უფასოდ რიგდება აეროპორტებში, სასტუმროებსა და კინოთეატრებში.

ბუნების ისტორიის კოლექციები განახლებულია

ეკა ირემაშვილი

ბუნების ისტორიის განახლებული კოლექციები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოიფინა. ესპოზიციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე ეწვია.

– საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ბუნების ისტორიის კოლექცია 1852 წლიდან, ცნობილი მეცნიერების მიერ გროვდებოდა როგორც საქართველოში, ასევე მთელს კავკასიაში. აღნიშნულმა კოლექციებმა, დღეისათვის, თავისი ბიომრავალფეროვნებით რარიტეტული მნიშვნელობა შეიძინა. აღნიშნული ექსპოზიციის აღდგენა მოხდა ნახევარი საუკუნის შემდეგ. განახლებული ექსპოზიცია წარმოაჩენს კავკასიის ფლორასა და ფაუნას, გამოირჩევა, როგორც ისტორიული ისე მეცნიერული ღირებულებით და მსოფლიოს მასშტაბით დღესაც სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს. ბუნების ისტორიის ექსპოზიციაზე ძირითადად წარმოდგენილია ენდემებით, რელიქტებით, იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობებით, რომლებიც შეტანილია წითელ წიგნში. ბუნების ისტორიის კოლექციების – გეოლოგიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური – განახლებული ექსპოზიცია წარმოდგენილია ორ საექსპოზიციო დარბაზში. გეოლოგიურ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ქანები, მინერალები და განამარხებულ უხერხემლო ცხოველთა ფაუნა. ბოტანიკურ საჰერბარიუმო ნიმუშებს თან ერთვის ბოტანიკოსის, კავკასიის ფლორის მკვლევრის გიორგი ვორონოვის მეუღლის ილუსტრაციები. ზოოლოგიურ ექსპოზიციაში წარმოდგენილი მოლუსკები, მწერები,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, აღაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა–ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციოდ და ნაოპერაციებ სახრეზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (ენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

თბილისის თასის სრული შემადგენლობა ცნობილია

დღეიდან იწყება ირბ-ს თბილისი თასის პირველი გათამაშება. ტურნირი წელს დაარსდა და წარმოადგენს სრულმასშტაბიან სარაგბო ტურნირს, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება თბილისში. თბილისის თასის პირველი გათამაშების მატჩები გაიმართება 7, 11 და 16 ივნისს. მიმდინარე წლის აპრილში გაირკვა, რომ, საქართველოს ნაკრების გარდა, პირველობაში მონაწილეობას სამხრეთი აფრიკის, მზარდი ირლანდიისა და ურუგვაის ეროვნული ნაკრებები. საქართველოს რაგბის კავშირთან გარდა, ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით ყოველწლიური ტურნირის მასპინძლობა მსოფლიოში ნებისმიერი სარაგბო ქვეყნისათვის დიდ პრესტიჟსა და პატივს წარმოადგენს. საქართველოსათვის, როგორც სარაგბო ქვეყნისათვის, ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს მსოფლიო სარაგბო ოჯახის მიერ ჩვენი რაგბის განვითარებისა და წინსვლის აღიარებას ნიშნავს.

აღნიშნული ტურნირი მეორე დონის სარაგბო ქვეყნების საერთაშორისო სანაკრებო თამაშების ოდენობების გაზრდის ირბ-ს სტრატეგიული გეგმის ნაწილს წარმოადგენს. საქართველოში, ქვეყანაში, სადაც რაგბის, ფაქტობრივად, ეროვნული სპორტის სტატუსი აქვს, ირბ-ს ეგიდით გასამართი ასპარეზობა ბრწყინვალე შენამატია მსოფლიო სამატჩო კალენდრისათვის.

საქართველოს რაგბის კავშირი მზადების აქტიურ ფაზაზეა გადასული და ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა მომავალი ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდეს.

სტადიონი და მატჩების განრიგი

07 ივნისი: 17:00 ურუგვაი-სამხ. აფრ. საპრეზიდენტო 15-ეული; 19:00 საქართველო-მზარდი ირლანდია;

11 ივნისი: 17:00 მზარდი ირლანდია-სამხ. აფრ. საპრეზიდენტო 15-ეული; 19:00 საქართველო-ურუგვაი;

16 ივნისი: 14:00 საქართველო-სამხ. აფრ. საპრეზიდენტო 15-ეული; 16:00 ურუგვაი-მზარდი ირლანდია;

ტურნირის ყველა მატჩი ავჭალის სტადიონზე გაიმართება, რომელიც 2011 წელს 20 წლამდე რაგბის მსოფლიო ალაფას მასპინძლობდა. სტადიონი 2.100 მაყურებელს იტევს და მასზე ძირითადად ეროვნული სარაგბო ჩემპიონატის მატჩები იმართება.

ტურნირის ყოველი სათამაშო დღისათვის განისაზღვრება ერთი ბილეთი, რომლის ფასი 10 ლარი იქნება. ამრიგად სათამაშო დღის ორივე მატჩზე დასწრება ერთი ბილეთით იქნება შესაძლებელი.

თავდაპირველად გამოქვეყნებულ მატჩების განრიგში იქნა შეტანილი ცვლილებები. კერძოდ: ტურნირის ბოლო სათამაშო დღის საათებმა გადმოიწია, აგრეთვე მოხდა წყვილების თანმიმდევრობის შეცვლა.

ტრანსლირება

ტურნირის ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლირება განხორციელდება ტელეკომპანია მე-9 არხის მეშვეობით, ხოლო ინტერნეტტრანსლირება განხორციელდება მე-9 არხისა და ირბ ვებგვერდებზე განთავსებულ სპეციალურ ბმულებზე.

მონაწილე გუნდები

საქართველო:

1. სიმონ მაისურაძე, 2. რევაზ ბელქანია, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან ჩილაჩავა, 5. ირაკლი მირცხულავა, 6. გიორგი თეთრაშვილი, 7. კონსტანტინე მიქაუტაძე, 8. ბექა ბინაძე, 9. ვახტანგ მაისურაძე, 10. შალვა სუთიაშვილი, 11. გივი ბერიშვილი, 12. ვიტო კოლელიშვილი, 13. გიორგი ნემსაძე, 14. გიორგი ჩხაიძე, 15. გიორგი ბეგაძე, 16. ვაჟა ხუციშვილი, 17. ლაშა ხმალაძე, 18. მერაბ შარიქაძე, 19. დავით კაჭარავა, 20. თედორე ზიბზიბაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ირაკლი მაჩხანელი, 23. თამაზ მჭედლიძე, 24. ალექსანდრე თოდუა, 25. მერაბ კვირიკაშვილი, 26. ბექა წიკლაური;

მზარდი ირლანდია:

1. მაიკლ ალენი, 2. მაიკლ ბენთი, 3. ენდრიუ ქონვეი, 4. ჯონ ქუნი, 5. შონ ქრონინი, 6. დევიდ ფოლი, 7. ეოინ გრიფინი, 8. ქესელ მარში, 9. მაიკლ ჰინი, 10. რობ ჰერინგი, 11. დევიდ ქარნი, 12. იენ ქითლი, 13. რიჩარდ ლუთონი, 14. ბრენდან მაქენი, 15. ჯექ მაკგრასი, 16. ეოინ მაკქიონი, 17. მარტინ მური, 18. ნაიალ მორისი, 19. ჯორდი მერფი, 20. იენ ნეიგლი, 21. რობი დიაქი, 22. თირნენ ოჰალორანი, 23. რის რადოკი, 24. დომინიკ რაიანი, 25. ჯონ რაიანი, 26. ლუის სთივენსონი;

სამხრეთი აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები:

1. კარლ ბესუიდენჰუტი, 2. ელშონ ბოკი, 3. რენალდო ბოთა, 4. იაკო ბოუვერი, 5. უზეირ კასემი, 6. მორის კუცია, 7. ეშონ კონტანტი, 8. რიკარდო კროი, 9. მარტინ დრეიერი, 10. ადრიან ენგელბრეხტი, 11. ივან ესპაგი, 12. ვინსენტ გვავუ, 13. ფრენკ ჰერნე, 14. ჟაკინ იანსენი, 15. სანდრე იორდანი, 16.ნტანდო კეტე, 17. ვინსენტ კოხი, 18. ინუს კრიცინგერი, 19. ვილმორე ლოუ, 20. ჰოფმან მარიცი, 21. მხაფუ ხვეზილოკუსა, 22. ჯაიანთ მთიანდა, 23. სინოვიუ ნიოკა, 24. იერომ პრეტორიუსი, 25. ჯო სირანე, 26. ბრაიან შაბანგუ, 27. ბრენდონ სნეიმანი, 28. როსკო სპეკმენი;

ურუგვაი:

1. მათიას პალომეკე, 2. ფრანკო ლამანა, 3. კრისტოფერ სუარეს დე ლიმა, 4. მარიო საგარიო, 5. არტურო ავალო, 6. ალეხო კორალი, 7. მატეო სანგინეტი, 8. ხუან რომვის, 9. აგუსტინ ალონსო, 10. ხუან დე ფრეიტასი, 11. ხუან გამინარა, 12. ფერნანდო ვასკუ, 13. დიეგო მანიო, 14. ალეხო დურანი, 15. როდრიგო სილვა, 16. გასტონ ხიბერნაუ, 17. ხოაკინ პრადა, 18. სანტიაგო კორე, 19. ალბერტო რომანი, 20. ლეანდრო ლეივასი, 21. ხერონიმო ეჩევერი, 22. როდოლფო დე მულა, 23. ნიკოლას კლაპენბახი, 24. როდრიგო ესპიგა, 25. ფრანსისკო ვულანტი.

ქართველის დაბადების დღეზე საჩუქარი დანიელებს გავუკეთეთ

დანია – საქართველო 2:1

ოლბორგი. ნორდისკ არენა

0:1 ძარია (52), 1:1 პედერსენი (77), 2:1 ერიკსენი (89)

დანია: ანდერსენი, პოულსენი (მაკიენოკი 75), ბეილანდი, იაკობსენი, ოკორე, სტოკჰოლმი (კვისტი 61), ზიმლინგი (შონე 123), ერიკსენი, რომედალი (კრონ-დელი 46), ბრაითვაითი (პედერსენი 62), კორნელიუსი

საქართველო: ლორია, ძარია (ლობჟანიძე 63), ხუბუტია, კაშია, ფოფხაძე, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი (გიგაური 73), კობახიძე (გელაშვილი 86), ანანიძე (თარგამაძე 63), დვალიშვილი (სირბილაძე 46)

დანიურ პრესაში ასეთი სათაურებიც გამოჩნდა:

„ერიქსენმა ნაკრები კატასტროფისგან იხსნა“, „სირცხვილს ბოლო წუთებზე გადავურჩით“.

დანიური პრესის კრიტიკის მიუხედავად, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო – საქართველოს ნაკრებმა წააგო. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენი ნაკრები წაგებას არ იმსახურებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მთავარი ტაბლოა, რომელმაც დანიელების გამარჯვება დააფიქსირა.

სკანდინავიელები მსოფლიოს რეიტინგისა და თამაშის ხარისხის მიხედვით ირლანდიელებზე უკეთესები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ საქართველოს მატჩში ეს არ ეტყობოდათ. აკი ვთქვით, რომ ჩვენები მარცხს არ იმსახურებდნენ, მაგრამ კლასმა თუ უკლასობამ თავისი გაიტანა.

ისევ იჩინა თავი უპატიებელმა შეცდომამ, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა მატჩის ბედი. სწორედ ასეთი ბურთი აჩუქა გიორგი ლორიამ დანიელებს და, როგორც ყოველთვის, ნაკრები გატყდა. მეორე გოლის აცილებაც შეიძლებოდა, მაგრამ...

დუბლინური მატჩის შემდეგ ქეცბაიამ სასტარტო შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა – დაცვის მარცხენა ფლანგზე დავით კვირკველია გიორგი ფოფხაძემ ჩაანაცვლა, უჩა ლობჟანიძე ძირითადიდან ამოვარდა და მისი ადგილი მარჯვენა მცველის პოზიციაზე გურამ კაშიამ დაიკავა, რომელიც ირლანდიაში ნახევარდაცვაში ირჯებოდა, ხოლო კაშიას ადგილზე ამჯერად ირაკლი ძარია მოგვევლინა. ცენტრფორვარდობა კი ნიკოლოზ გელაშვილის მაგივრად ლადო დვალიშვილს დაეკისრა.

ქეცბაიამ მოედნის ცენტრში სამი ტიპური ჩამშლელი გაამწესა, თუმცა ძარია ოდნავ წინ იყო აწეული, ამიტომ მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა ჯანო ანანიძემ, ხოლო სანდრო კობახიძე მარჯვნივ მოქმედებდა.

მასპინძლებმა მატჩი ისე დაიწყეს, რომ სწრაფი გოლის სურვილი ამოძრავებდათ. ამის ორი შანსიც მიეცათ, მაგრამ ბოლო ფაზაში ვერ ივარგეს. შემდეგ საქართველოს ნაკრებიც გამოფხიზლდა და ნელ-ნელა შეძლო ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა. ამას კარში დარტყმებიც მოჰყვა – ჯერ კობახიძემ დაარტყა არაზუსტად, შემდეგ კი ხიზანიშვილმა ზუსტად, თუმცა დანიელთა მეკარემ შესაშური რეაქცია გამოავლინა და გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

ტაიმიც განსხვავებულად ჩავამთავრეთ – ამჯერად ბოლო წუთებზე გოლი არ გავუშვით.

შესვენების შემდეგ კი თემურ ქეცბაიამ ცვლილებას მიმართა – დვალიშვილი ირაკლი სირბილაძით ჩაანაცვლა და მანაც საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. სირბილაძემ საჰაერო დუელი მოიგო და თავით მარჯვენა ფლანგზე კობახიძე მოძებნა, მანაც დანიელთა დაცვის ცენტრში გაჩენილ ნაპრალში შეპარული ძარია დროულად დაინახა და ანგარიშიც გაიხსნა.

გატანილი გოლის მერე გასაკვირიც არ იყო, რომ ქეცბაიამ გუნდი უფრო უკან დაწია – ეს მისი ჩვეული სტილია, თუმცა, იქნებ ჯობდა, ამხანაგურ მატჩში მაინც ეთამაშა შეტევაში.

ცვლილებებიც განახორციელა: ანანიძის ნაცვლად დავით თარგამაძე შეუშვა, ხოლო ძარიას ნაცვლად – უჩა ლობჟანიძე. ამ ცვლილებებს რამდენიმე გადაადგილება მოჰყვა – ლობჟანიძემ დაცვაში თავისი ადგილი დაიკავა, კაშია საყრდენად დადგა, ხოლო თარგამაძემ ანანიძის ფლანგი კობახიძეს გაუცვალა. პრაქტიკულად, ტაქტიკური გადანაცვლება არ ყოფილა, ერთია, მთელმა გუნდმა უკან დაიწია.

ამის გამო, დანიელებს მომენტის შექმნა უჭირდათ, მაგრამ ისევ ჩვენ წავეხმარეთ – ლორიამ ბურთი ცუდად შეიტანა, პირდაპირ პედერსენისკენ და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა ჩვენს კარში.

ბოლო წუთზე კი იუბილარმა მერაბ გიგაურმა სრულიად გაუგებარი ჯარიმა „აკიდა“ და კრისრიან ერიკსენმა ჩინებულად შეასრულა, თუმცა ლორიამაც დააგვიანა რეაქცია – 2:1 და მორიგი მარცხი.

მატჩის შემდეგ დანიელთა მთავარმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა განაცხადა, ქართველებთან მძიმე მატჩი გვქონდა და კედელს ვეჯახებოდითო.

– მძიმე მატჩი გვქონდა, თუმცა მოვიგეთ. პირველ ტაიმში 2 ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ჩეხეთთან შევაგდეთ და 3:0 გავიმარჯვეთ, ამჯერად კი შანსები გავაცუდეთ და გაგვიჭირდა. კედელს ვეჯახებოდით, მეტოქის დაცვითი ზღუდეების გადალახვა იოლი არ გამოდგა. ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, დასაწყისში სიმონ პოულსენს ახლოდან რომ გაეტანა ან კორნელიუსს ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ ზუსტად დაერტყა.

მსაჯთა კავშირმა სეზონი შეაჯამა

სპორტისა ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კალათბურთის მსაჯ-მდივნები, კომისრები და მათი ხელმძღვანელობა შეიკრიბა, რითაც კალათბურთის მსაჯთა კავშირმა გასული სეზონი შეაფასა.

სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში სუპერლიგისა და ასაკობრივი ჩემპიონატების მომსახურე პერსონალს ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა დამაკმაყოფილებლად ჩატარებული სეზონისთვის და იმ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სამომავლოდ უნდა გამოსწორდეს.

მდივნებს სიტყვით მიმართეს მსაჯთა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა პაატა ლობჟანიძემ, მსაჯთა ინსტრუქტორმა, ფიბა-ს არბიტრმა მაკა კუპატაძემ, სუპერლიგის დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ და კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ფიბა-ს კომისარმა მერაბ რატიშვილმა.

პაატა ლობჟანიძე, საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– საკმაოდ გრძელი, რთული და მძიმე სეზონი გამოდგა, უამრავი თამაში ჩატარდა და სეზონი თითქმის დავასრულეთ. ბევრი ხარვეზი და პრობლემა გვქონდა, რამდენიმე დაისაჯა უყურადღებობისა და შეცდომების გამო. ეს აუცილებელი იყო, რადგან ეს სამუშაო პროცესია. იყო პრეტენზიები და შენიშვნები, თუმცა, საბოლოო ჯამში, სეზონმა ნორმალურად ჩაიარა და მადლობას გეტყვით გაწეული სამუშაოსთვის. იმედი მაქვს, მომავალ სეზონს კიდევ უფრო მობილიზებული და მონდომებულები შევხვდებით. გისურვებთ მომავალი სეზონის უფრო მაღალ დონეზე ჩატარებას.

მაკა კუპატაძე, მსაჯთა კავშირის ინსტრუქტორი, ფიბას საერთაშორისო არბიტრი:

– გილოცავთ სეზონის დასრულებას. რა თქმა უნდა, იყო შეცდომები, ამის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა, ჯამში, ალბათ 10 დარღვევაზე მეტი არ ყოფილა. პრობლემები გვქონდა ფინალებზეც, მაგრამ სამდივნომაც და მსაჯებმაც სეზონი დადებითად ჩავამთავრეთ. ეს არ არის მაქსიმუმი და შევეცადოთ, უკეთესად ვიმუშაოთ მომავალში. მალე მინი კალათბურთი იწყება და მსაჯებს გთხოვთ, მაქსიმალურად მეგობრულად და ჰუმანურად მიუდგეთ ბავშვებს.

გიორგი ზაბახიძე, სუპერლიგის აღმასრულებელი დირექტორი:

– პირველ რიგში, მადლობას გეტყვით გაწეული სამუშაოსთვის. წელს ნამდვილად შეკრული კოლექტივი იყავით, თუმცა საქმის კუთხით ბევრი ხარვეზი იყო. დასალაგებელია გუნდებთან და მწვრთნელებთან ურთიერთობები. გთხოვთ, მაქსიმალურად მობილიზებულები, ყურადღებიანები იყოთ მუშაობის პერიოდში. მადლობას ვეტყვი პაატა ლობჟანიძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებდა დაბალანსებული გარემოსა და სიტუაციის შექმნისთვის.

მერაბ რატიშვილი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ფიბას საერთაშორისო კატეგორიის კომისარი:

– სეზონმა, საბოლოო ჯამში, დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ნორმალური იყო მსაჯობა მოედანსა და მაგიდაზე. 10 წლის მანძილზე ყველაზე კარგი სეზონი გამოვიდა, თუმცა კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. შეცდომებია მსაჯობაში, ხარვეზებია ურთიერთობებში, ყველამ უნდა გაიაზროს თავისი წილი პასუხისმგებლობა და შეცდომების აღიარება შეძლოს. მადლობა ამ სეზონისთვის, თუმცა მეტის რესურსი გაგაჩნიათ და, იმედია, მომავალ წელს უკეთეს სეზონს ჩავატარებთ.

მარკოიშვილმა მოიგო, სანიკიძემ წააგო

მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში დაწინაურდა. პირველ მატჩში სტამბოლელებმა „ბანვითს“ უმასპინძლეს და ანგარიშით 79:62 დაამარცხეს. ქართველმა უკანახაზელმა, რომელსაც ქალიშვილი შეეძინა, შესანიშნავად ითამაშა და სტამბოლელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

„ბანვითისთვის“ უკვე დიდი წარმატებაა, ფინალში რომ გავიდა. პროვინციულ ქალაქ ბალიკეშირის გუნდმა ნახევარფინალიდან სტამბოლური გრანდი „ეფესი“ გამოაგდო და ახლა საჩემპიონოდ „გალათასარაის“ ხვდება. მარკოიშვილის გუნდმა ფინალური სერიის პირველი შეხვედრა ისე მოუგო ბანვითელებს, რომ შანსი არ დაუტოვა. თუმცა, სათქმელია, რომ ბალიკეშირელებმა მატჩი კარგად დაიწყეს და პირველი მეოთხედის შემდეგ 22:16 იგებდნენ. სტამბოლელებმა ლიდერობა მეორე მეოთხედშივე მოიპოვეს და საბოლოოდ „ბანვითი“ დიდი სხვაობით დაამარცხეს.

მარკოიშვილმა 28 წუთში 13 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მანუჩარმა 4-დან 1 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. სტამბოლელთაგან 18 ქულით ბომბარდირი იამონტ გორდონი გახდა, ხოლო კარლოს არიოიმ თავი 17 ქულას მოუყარა.

ფინალური სერიის მეორე მატჩი ისევ სტამბოლში 7 ივნისს გაიმართება.

ვიქტორ სანიკიძის „სიენამ“ კი, ფინალში გასვლის კარგი შანსი ვერ გამოიყენა და მის მიღმა დარჩენის რეალური საფრთხის წინაშე დგას. ნახევარფინალურ სერიაში 3:1 დაწინაურების შემდეგ სიენელებმა ზედიზედ 2 მატჩი წააგეს და ახლა სერიის მე-7, გადამწყვეტი შეხვედრა მეტოქის – „ვარეზეს“ მოედანზე გაიმართება.

ნახევარფინალური სერიის მე-6 მატჩს სიენელები მასპინძლობდნენ და ფინალში გასასვლელად მოგება სჭირდებოდათ, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე იბრძოლეს და მოქმედ ჩემპიონს გამარჯვება არ დაანებეს. პირველი მეოთხედის შემდეგ „სიენა“ 27:15 იგებდა, თუმცა ვარეზელებმა ჩამორჩენა ჯერ 4 ქულამდე შეამცირეს, შემდეგ კი ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 63:65 აგებდნენ. გადამწყვეტ ათწუთიულში სტუმრებმა წარმატებული თამაში განაგრძეს და საბოლოოდ 2 ქულის სხვაობით, 82:80 მოიგეს, რაც მათი ამერიკელი ლეგიონერის, მაიკ გრინის დამსახურებაა. გრინის ანგარიშზე 20 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

სიენელთაგან 17-17 ქულით ავსტრიელი ბენჯამინ ორტნერი და ამერიკელები – ბობი ბრაუნი და დევიდ მოსი გამოირჩნენ. ქართველმა ფორვარდმა მხოლოდ 6 წუთს ითამაშა და ერთადერთი მოხსნის მითვლა მოასწრო. სანიკიძემ 1 სამქულიანი, ოღონდ არაზუსტად ესროლა.

გადამწყვეტი შეხვედრა 7 ივნისს ვარეზეში გაიმართება.

შედეგები

ფეხბურთი

მრ-2014. შესარჩევი ეტაპი

აფრიკა

მალავი-ნამიბია	0:0
კენია-ნიგერია	0:1
ამხანაგური	მატჩები
დანია-საქართველო	2:1
ურუგვაი-საფრანგეთი	1:0

ეჩ-2013. ჯგუფური ეტაპი (21)

ისრაელი-ნორვეგია	2:2
ინგლისი-იტალია	0:1

ამხანაგური მატჩები (21)

ნორვეგია-ფინეთი	2:0
სლოვენია-ჩეხეთი	0:1
უკრაინა-ავსტრია	0:1
ფილადელფია-კოლამბუსი	3:0

ბასკეტბოლი. სერია ა

კრისიუმა-სანტოსი	3:1
პორტუგალია-ინტერნასიონალი	1:1
სან პაულუ-გოიასი	0:1
ვასკუ-ატლეტიკო(მ)	2:0
გრემიო-ვიტორია	1:0
პონტე პრეტა-ატლეტიკო (პ)	3:4
ბაია-ბოტაფოგო	2:1
კრუზეირო-კორინთიანსი	1:0
ფლამენგო-ნაუტიკუ	0:1

ბეისბოლი. ეროვნული ლიგა

ბოსტონი-პიტსბურგი	2:1(ოტ)
სერიის ანგარიში:	3:0

ჩოგბურთი

ხოლან გაროსი

ჯაჭვები

ჯოკოვიჩი-ჰაასი	6:3;7:6;7:5
ნადალი-ვავრინკა	6:2;6:3;6:1

ქალები

აზარენკა-კირილენკო	7:6;6:2
შარაპოვა-იანკოვიჩი	0:6;6:4;6:3

ჰოკეი

ნჰლ. პლეი ოფი

ბოსტონი-პიტსბურგი	2:1(ოტ)
სერიის ანგარიში:	3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

თემურ ჩხეიძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს

ეკა ირემაშვილი

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს. პრემიერას ის თეატრის მოყვარულ საზოგადოებას კვლავაც მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე შესთავაზებს. 9 ივნისს თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იქნება ჟორდი გალსერანის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „გრონჰოლმის მეთოდი“.

პიესის თარგმანი თამაზ გოდერძიშვილს ეკუთვნის, მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილია, რეჟისორის ასისტენტი – ნინო ჟორჟოლიანი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი და ალეკო მახარობლიშვილი.

თემურ ჩხეიძისთვის ეს პირველი სპექტაკლია საქართველოში მას შემდეგ, რაც მან სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე თქვა უარი. თემურ ჩხეიძეს არ დაუკონკრეტებია, თუ რა გახდა მისი ამ თანამდებობიდან წამოსვლის მიზეზი. ინფორმაცია, რომ თემურ ჩხეიძეს დაკავებული თანამდებობის დატოვება და საქართველოში დაბრუნება სურდა, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გაჟღერდა. მაშინ რეჟისორს არ დაუმალავს, რომ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა, თუმცა ოფიციალური განცხადებით რუსეთის კულტურის სამინისტროს მხოლოდ თებერვალში მიმართა. თემურ ჩხეიძე სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში 1991 წელს მივიდა, 2004 წელს მთავარი რეჟისორის თანამდებობა დაიკავა, სამი წლის შემდეგ კი კირილ ლავროვის გარდაცვალების შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა.

– სანკტ პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრი ჩემთვის სახლია, სხვა შემთხვევაში აქ 20 წელი ვერაფერი გამაჩერებდა. ამ თეატრში პირველად რომ მოვედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს აქ უკვე ვმუშაობდი, – განუცხადა ჟურნალისტებს რეჟისორმა 2009 წელს მიცემულ ინტერვიუში.

თემურ ჩხეიძეს არასოდეს დაუმალავს, რომ საქართველოში დაბრუნება სურდა და სტუდენტებთან ურთიერთობა უფრო აინტერესებდა, ვიდრე სპექტაკლების დადგმა. როგორც ჩანს, თავისი სურვილი რეჟისორმა საბოლოოდ მოიყვანა სისრულეში და თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა.

– რა სიხშირით ჩამოდიხართ საქართველოში?

– წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ ჩამოვდივარ. აქ ჩემი სახლია, ჩემების საფლავებია, ვთვლი, რომ ყველაფერი ჩემი აქ არის და ამიტომ ხშირად მინდა ჩამოსვლა, მაგრამ რამდენადაც სამსახური მაძლევს ამის უფლებას, მაშინ ჩამოვდივარ ხოლმე.

– როგორია შორიდან დანახული ქართული კულტურა?



– მთლად ასეთი საშუალება არ მაქვს. მე არ ვარ იმდენად დაცილებული საქართველოს, რომ შემეძლოს ქართული კულტურის უცხო ქვეყნიდან დანახვა. მაინც აქ ვარ ჩართული ყველაფერში.

– აქ გაქვთ საშუალება იაროთ სპექტაკლებზე?

– როცა ჩამოვდივარ, ვცდილობ ეს დანაკარგი რამდენადაც შესაძლებელია ავინაზღაურო.

– რომელ თეატრში დადიხართ ყველაზე ხშირად?

– მარჯანიშვილის თეატრში, რუსთაველის თეატრში დავდივარ, თუ საშუალება მაქვს, სხვგანაც დავდივარ, თუ ემთხვევა დღეები იმ სპექტაკლზე, რაც მაინტერესებს.

– არ არის ასე ცხოვრება რთული?

– რთულია, მაგრამ რა ვქნა, ცოტა დრო დამრჩა და მინდა ყველაფერი მოვასწრო.

– თქვენი 4 სპექტაკლი უკვე წლებია გადის მარჯანიშვილის თეატრში. რამ განაპირობა მათი ასეთი ხანგრძლივი წარმატება?

– ეს დრო ნამდვილად არ არის ცოტა. ალბათ სპექტაკლი მაშინ უძლებს დროს, თუ ის საფუძვლიანად არის აგებული. დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი ძველდება. მანდაც ალღო გინდა კაცს, რომ სანამ დროა, თვითონ შეაწყვეტინო სპექტაკლს არსებობა. ნამდვილად ასე ჯობია. სპექტაკლი მანამდე უნდა მოხსნა, სანამ მაყურებელი საბოლოოდ დაკარგავს მისადმი ინტერესს. სპექტაკლის წარმატების და სიცოცხლისუნარიანობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ზოგი სპექტაკლი ნაკლებს ცოცხლობს, ზოგი – მეტს. ვერაფრით განვსაზღვრავდი, რომ „არტ ხელოვნება“ ამდენ ხანს იცოცხლებდა. ძალიან მიყვარდა „მამა“, მაგრამ აღარ ვთამაშობთ, მიყვარდა „მარადი ქმარი“, მაგრამ აღარ თამაშობენ.

– სტუდენტები გყავთ?

– არა, არ შეიძლება მყავდეს. როცა თეატრის რეკონსტრუქცია დამთავრდება, ძალიან სერიოზულად უნდა დავფიქრდე. დარჩენილ წლებში სიამოვნებით მექნებოდა ურთიერთობა მხოლოდ სტუდენტებთან. ახლა ვერაფრით ვახერხებ, იქ არ მყავს ჯგუფი, იმიტომ რომ არ ვიცი როდის რა მოხდება, არ შეიძლება ბავშვების მიყრა. როცა აიყვან სტუდენტს, ის მინიმუმ 5 წელი შენ გვერდით უნდა იყოს. რა ვიცი, 5 წელი იქ ვიქნები? ამიტომ არ ამყავს ჯგუფი, თუმცა ძალიან დიდი თხოვნაა. აქ კიდევ, როგორ ავიყვანო, სულ წასული ვარ. სიამოვნებით ავიყვანდი ჯგუფს და მარტო სტუდენტებთან მექნებოდა ურთიერთობა.

– აღარ გინდათ თანამდებობები?

– თანამდებობაში არ არის საქმე. მთავარია დრო. ახლა დადგმაზე მეტად სტუდენტებთან ურთიერთობა დამაინტერესებდა. მათ დადგან, მე რაც ვიცი, იმას გავუზიარებ, რაც არა და მათთან ერთად აღმოვაჩენ. თუ ლაბორატორიასავით არ არის შემოქმედებითი ურთიერთობა და მათთან ერთად არ ეძებ, მარტო მენტორის ტონით ჭკუის დარიგებას შედეგი არ მოაქვს. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ისეთი საინტერესო პროცესია ძიების მომენტი, რომ სწორედ მაგიტომ ვარ თეატრში.

ეს არის ამონარიდები თემურ ჩხეიძის ინტერვიუდან, რომელიც მან „ახალ თაობას“ გასულ წელს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სტუმრობისას მისცა.

საქართველოში დაბრუნებამდე რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრში „ბრმა მხედველი“ დადგა, რომელშიც ნანი ჩიქვინიძე, ალეკო მახარობლიშვილი და გოგა პიპინაშვილი მონაწილეობენ. ზოგადად, თემურ ჩხეიძის სპექტაკლები მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს, ისინი მაყურებელს უყვარს და წლების მანძილზე მათზე აქტიურად დადის. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თემურ ჩხეიძის მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლები „ანტიგონე“, „არტ ხელოვნება“ და „სასიყვარულო ბარათები“ უკვე ათეული წლებია თეატრის რეპერტუარშია და მათზე მაყურებლის ნაკლებობა არასოდეს შეიმჩნევა.

ამჯერად რეჟისორი ქართველი მაყურებლის წინაშე ახალი სპექტაკლით „გრონჰოლმის მეთოდით“ წარსდგება და თავის სათქმელს ისევ და ისევ ახალი წარმოდგენის საშუალებით იტყვის.

ბუნების ისტორიის კოლექციები განახლებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები და ძუძუმწოვრები ძირითადად განთავსებულია ვიტრინებში უახლესი სისტემატიკის მიხედვით მსოფლიო ელექტრო კატალოგებზე დაყრდნობით, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მისივე თქმით, გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილია „ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ მიერ XIX-XX საუკუნეებში გადაღებული ფლორის, ფაუნისა და გეოლოგიის ამსახველი ფოტო, ვიდეო მასალა და გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც „ნეშენალ ჯეოგრაფიკ საქართველოსთან“ ერთად ითარგმნა და ადაპტირდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბუნების ისტორიის კოლექციების გამოფენისთვის.

– საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოამზადა ბუნების ისტორიის კოლექციებზე

დაფუძნებული სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა „ნეშენალ ჯეოგრაფიკთან“ თანამშრომლობით. აღნიშნული პროგრამის მიზანია: გარემოს დაცვის ცნობიერების ჩამოყალიბება-ამაღლება, სამუზეუმო განათლების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საბუნებისმეტყველო დისციპლინის პოპულარიზაცია და სამეცნიერო კვლევების მიმართ ინტერესის გაღვივება, სამეცნიერო კვლევების მიმართ ინტერესის გაღვივება. გამოფენაზე მოსულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სურვილისამებრ შეეძლებათ აირჩიონ მათთვის საინტერესო თემები: ევოლუცია, განამარხებულ უხერხემლო ცხოველთა ფაუნა, ქანები და მინერალები, ტაქსიდერმია, საველე სამუშაოები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, მოლუსკები, მწერები, თევზები, ამფიბიები და ქვეწარმავლები, სვია და ვეშაპი, მტაცებლები, ფრინველები და ბუდეები, ცხოველთა ქცევა (ეთოლოგია), ფერები ველურ ბუნებაში, შეეხე და ისაუბრე, ხმელეთის, წყლის, ჰაერის ბინადარი ცხოველები, – განმარტა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა და იაპონიის საელჩომ საქართველოში წარმოადგინეს თანამედროვე იაპონური გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა.

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილია თანამედროვე იაპონური ხელოვნების ნიმუშები: ფაიფურის, კერამიკისა და მინის ნაკეთობები, ტრადიციული და თანამედროვე დეკორატიული ლარნაკები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, ფინჯნები, ქოთნები, თეფშები. წარმოდგენილი თემატური და მრავალფეროვანი ექსპოზიცია, იაპონური ხელოვნების ინდივიდუალიზმს წარმოაჩენს, რომელიც სხვადასხვა საშემსრულებლო ტექნიკით არის შექმნილი. დამთვალიერებელი იხილავს სახვითი, გამოყენებით-დეკორატიული ოსტატობით 90-იან წლებში შექმნილ ნამუშევრებს, ხის ნაკეთობაში გამოძერწილ თიხის კომპოზიციებს, სწორი ხაზებისა და წრეების მხატვრულ კომბინაციებს, რომლებიც იაპონური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სისადავითა და ფერთა მრავალფეროვანი გამით გამოირჩევა, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

კახი კავსაძესა და გივი ბერიკაშვილს ხელის ანაბეჭდები გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი ფოტოარქივიდან წარმოდგენილი იყო ფოტოსურათები, რომლებიც როგორც საოჯახო, ასევე სასცენო მოღვაწეობას ასახავდა. მუზეუმში მისულ საზოგადოებას საშუალება მიეცა დაეთვალიერებინა ძველი აფიშები, იუბილარი მსახიობების მიერ შესრულებული თეატრალური და კინოროლები.

კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ორივე მსახიობის იუბილე გაერთიანდა და მუზეუმში ხელოვნების ნამდვილი ზეიმი გაიმართა. ხელოვნების სასახლის ეზოში გამოიფინა გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ის კოსტიუმები, რომელიც მუზეუმშია დაცული.

მუზეუმში ანაბეჭდების გახსნის ტრადიციას 20 იანვარს ელდარ შენგელაიას იუბილეზე ჩაეყარა საფუძველი, შემდეგ თეატრის საერთაშორისო დღეს ოთარ მეღვინეთუხუცესის ანაბეჭდი გაიხსნა, ხოლო ამჯერად „უკვდავთა თაღს“ დიდი მსახიობების გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ანაბეჭდები შეემატა.

გივი ბერიკაშვილს 80 წელი 15 მაისს შეუსრულდა. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. გივი ბერიკაშვილი საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიის ლაურეატი და რუსთაველის პრემიის ლაურეატია.

კახი კავსაძე კოლეგაზე მხოლოდ ორი წლით არის უმცროსი. იგი თავისი თეატრის ერთგულია და უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია რუსთაველის თეატრის მსახიობია. „ღვინის ქურდები“, „მზე შემოდგომისა“, „სამოთხის გვრიტები“, „მიჯაჭვული რაინდები“, „პეპელა“, „ღვინის აკვანი“ – ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომელშიც ქართული საზოგადოებისთვის უსაყვარლესმა მსახიობებმა ერთად მიიღეს მონაწილეობა. გივი ბერიკაშვილს და კახი კავსაძეს ერთად მხოლოდ თეატრის სცენაზე არ უთამაშიათ. მშობლების კვალს გაყვნენ მათი შვილებიც – მსახიობები ზურა ბერიკაშვილი, ირაკლი კავსაძე და ნანუკა ხუსკივაძე. ზურა ბერიკაშვილი მამის მსგავსად მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია, ირაკლი კავსაძე ამერიკაში მოღვაწეობს, ნანუკა ხუსკივაძე კი რუსთაველის თეატრის მსახიობია. გივი ბერიკაშვილის მეორე შვილი – მანანა ბერიკაშვილი მეტყველების პედაგოგი და რეჟისორი, ამჟამად კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას მოადგილეა.

ღონისძიების დასასრულს ხელოვნების სასახლის ეზოში წარმოდგენილი იყო საუკეთესო ეპიზოდები მსახიობების მიერ შესრულებული ფილმებიდან და სპექტაკლებიდან. გივი ბერიკაშვილის და კახი კავსაძის იუბილეებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დარჩება.

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი:

– მეც ის მინდა, რაც თქვენ. მინდა, რომ ეს ადამიანები რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ ჩვენ გვერდით და დიდხანს ვუყურო მათ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ადამიანები კარგად იყვნენ და თავისი საქმიანობით სიამოვნება მოგვანიჭონ.

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

– გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე ქართულ კულტურაში ნამდვილად გამორჩეული სახელებია. მათთან ყოველი შეხვედრა დღესასწაულია და ეს არასოდეს დაგავიწყდება. არ აქვს მნიშვნელობა სად დაინახავ მათ – ქუჩაში, თეატრში, კინოში თუ ტელეეკრანზე, მათი დანახვა სიცოცხლეს გმატებს და მინდა ეს ემოცია ყველას მთელი ცხოვრება მიგვყვებოდეს.

გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:

– ძალიან ბედნიერი დღეა ჩემთვის. მიხარია, რომ ჩემი შრომა დაფასდა, ჩემი ამდენწლიანი მუშაობა ხალხმა დაინახა. ყველაზე დიდი საჩუქარი მსახიობისთვის მაყურებლის ტაში და სიყვარულია. ამას ყველგან და ყოველთვის ვგრძნობ და ამისთვის მადლობას ვეუბნები ყველას, ვინც აქ მოვიდა, ვინც ვერ მოვიდა, მაგრამ ვუყვარვართ. ყველას დიდი მადლობა.

კახი კავსაძე, მსახიობი:

– არც კი ვიცი მადლობა ამდენ ადამიანს როგორ გადავუხადო, რომ მოვიდნენ და დაგვაფასეს. ეს არის ჩვენს ცხოვრებაში დაუვიწყარი დღე. ეს ემოცია კიდევ დიდხანს გაგვყვება. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასეთი ლამაზი საღამო მოგვიწყო. მადლობა იმ ადამიანებს, ვინც სიყვარულს გვჩუქნის და ტაშს გვიკრავს, მადლობა ყველას, ვინც ჩვენი შრომა დააფასა.

„შავნაბადა“ კონსერვატორიაში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

9 ივნისს ანსამბლი „შავნაბადა“ კონსერვატორიის დიდ დარბაზში რიგით მეოთხე სოლო კონცერტს გამართავს, სახელწოდებით „ტრადიციული მუსიკის საღამო“. როგორც „შავნაბადას“ პრესასთან ურთიერთობის მენეჯერმა მაია ღუღუნიშვილმა განაცხადა, კონცერტზე სულ დაახლოებით 20 მუსიკალური ნაწარმოები შესრულდება, მათ შორის რამდენიმე საგალობელი და სიმღერები, რომლებიც საუკუნეზე მეტია არ გაჟღერებულა. „შავნაბადამ“ ისინი ექსპედიციების დროს მოიძია და აღადგინა. კონცერტზე ასევე წარდმოდგენილი იქნება ცნობილი სიმღერების უცნობი ვარიანტები. კონცერტზე ანსამბლი „შავნაბადა“ მის რეპერტუარში შესულ ყველა ახალ სიმღერას შეასრულებს.

– ფოლკლორული ანსამბლი „შავნაბადა“ ჩამოყალიბდა 2005 წელს. „შავნაბადას“ წევრები ბიჭუნათა ანსამბლების „მართვესა“ და „ბიჭების“ აღზრდილები არიან.

ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს როგორც ხალხურ სიმღერებს და ასევე საეკლესიო გალობას. ანსამბლის წევრები თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში გალობენ. ისინი ტაძრის საპატრიარქო გუნდის შემადგენლობაში შედიან და მონაწილეობას იღებენ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შესრულებულ ყველა ღვთისმსახურებასა და მომლოცველობით მოგზაურობაში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, – განმარტა მაია ღუღუნიშვილმა.

„შავნაბადას“ კონცერტამდე კონსერვატორიის დიდ დარბაზში 7 ივნისს საღამოს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ალილო“ გამართავს. ისინი შეკრებილი მსმენელისთვის შეასრულებენ როგორც ძველ, ისე ახალ ნაწარმოებებს. „ალილოს“ სოლოკონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში ერთი წლის წინ ჰქონდა, სადაც აუდიო ალბომის პრეზენტაცია მოაწყო. კონცერტი საქველმოქმედო იყო და ბილეთებიდან გაყიდული თანხა მახათას მთაზე მშენებარე ტაძრისთვის გადაირიცხა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართველი მეცნიერი, გეოდეზიის ფუძემდებელი საქართველოში; 2. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 3. მე-19 საუკუნის ცნობილ ქართველ ოქრომჭედელთა გვარი; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 5. შავი ფერის მტაცებელი ფრინველი; 9. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 11. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 12. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 14. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. საარყე ტიკჭორა.

თარაზულად: 4. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის გამომგონებელი; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 7. მეხსიერების დაკარგვა; 8. თურქული აბანო; 10. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება, 13. საჩუქრად მირთმეული რამე; 15. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. მტაცებელი ფრინველი; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 20. ქართული ხალხური სიმღერა; 21. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 22. შავი ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 23. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლიტანია; 2. ელიტა; 3. ზაქათალა; 4. ყარაყუმი; 5. სინტოიზმი; 9. ჰაველი; 12. სინდიყი; 14. პარანა; 15. იორი; 17. ცვილი; 18. ანცი.

თარაზულად: 6. ჟიგოლო; 7. ვარიანტი; 8. შამოტი; 10. ტუმბო; 11. თაყაიშვილი; 13. სპანიელი; 16. კიბუცი; 19. ნარიყალა; 20. მამისონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სარანჩა; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. მეეზოვე; 5. ბენელი; 9. ტავრია; 11. დიოგენი; 12. მაგატე; 14. ჩერჩილი; 18. ალაფი; 19. გუამი.

თარაზულად: 4. მერანი; 5. ბაზილიკა; 6. ფარსი; 7. ლეგრანი; 8. აგენტი; 10. გაუდა; 13. ჩრჩილი; 15. ტრამვა; 16. ლეგო; 17. ლეტა; 20. ჩიბუხი; 21. დემონი; 22. კაფსულა; 23. მადერა.

შოუს „ბედნიერების ძებნაში“ წამყვანებმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს

ამერიკული რადიოშოუ „ბედნიერების ძებნაში“ წამყვანები, რომლებიც ეთერში ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებს კონსულტაციებს უწევდნენ, საკუთარ სიძნელეებს ვერ გაუმკლავდნენ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. თვითმკვლელობა, რაზეც ჯონ ლიტინგმა და ლინ როუზენმა საკუთარ მსმენელებს ხელი არაერთხელ ააღებინეს, ნიუიორკის ბრუკლინის რაიონში, ბინაში განხორციელდა, წერს „ნიუ იორკ დეილი ნიუსი“.

გარდაცვლილი ცოლ-ქმარი მეზობლებმა აღმოაჩინეს. ორივე სავარძელზე იწვა თავზე ტომრებით, რომელიც ჰელიუმით სავსე იყო. ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ორი სიკვდილისწინა ჩანაწერი ნახეს. 48 წლის ჯონ ლიტინგის მიერ დაწერილ წერილში ნათქვამია, რომ „ისინი თვითმკვლელობის ერთად ჩადენას აპირებდნენ“. მამაკაცმა ასევე დაწერა, რომ „აღარ შეუძლია ყურება, როგორ იტანჯება მისი მეუღლე“. 46 წლის ლინ როუზენის ჩანაწერის შინაარსი არ გახმაურებულა, მაგრამ მისგან გამომდინარე, პოლიციელებმა დაასკვნეს, რომ ქალს „სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა“.

ტრაგიკულმა ამბავმა მეზობლები გააოგნა, რომლებიც მათ იცნობდნენ არა მარტო როგორც „შესანიშნავ ადამიანებს“, არამედ როგორც ყოველთვიური რადიოშოუს წამყვანებსაც. პროფესიით ფსიქიატრი ლინი, მუსიკოს ქმართან წყვილში ეთერში ერთი საათის განმავლობაში ცდილობდა, რომ მსმენელებისთვის პრობლემებში პოზიტიური მხარეები დაენახვებინა და ამ გზით დეპრესიულ განწყობებს გამკლავებოდნენ.

„გახსოვდეთ, პოზიტიური განწყობა – აი, რა არის მთავარი. სცადეთ რაიმე სპონტანური“, – ამბობდა როუზენი და ამატებდა, რომ „მუდმივად საჭიროა საკუთარ თავში რაღაც შეცვალო, სხვა შემთხვევაში ეს არ არის ცხოვრება“.

„ადამიანებს ცვლილებების, კომფორტის ზონიდან გამოსვლის ეშინიათ. მაგრამ მუდმივად საჭიროა წინსვლა“, – ურჩევდა წყვილი მსმენელებს. ზოგიერთი რჩევა პირდაპირ იმისკენ იყო მიმართული, რომ ადამიანებისთვის თვითმკვლელობა გადაეფიქრებინათ. „ცხოვრებიდან წასვლა ყოველთვის ძალიან ადრეა“, – ამბობდა როუზენი, ინგლისელი მწერლის ნორმან პილის ციტირებისას.

ადამიანის ადრინდელი წინაპრები თაგვებზე პატარები იყვნენ და მწერებით იკვებებოდნენ, აცხადებენ ჩინელი მეცნიერები

ყველაზე ძველი პრიმატის ნარჩენები საშუალებას გვძლევს ვივარაუდოთ, რომ დედამიწაზე ადამიანის ადრინდელი წინამორბედები, რომლებიც 55 მილიონი წლის წინ ეოცენის ეპოქაში ცხოვრობდნენ, თაგვზე მცირე „ჯუჯა მაიმუნები“ იყვნენ და მწერებით იკვებებოდნენ.

ასეთი განცხადებით გამოვიდა მეცნიერების საერთაშორისო ჯგუფი, რომელმაც 2003 წელს ჰუბეის პროვინციაში აღმოჩენილი არსების თითქმის მთლიანი ჩონჩხის კომპლექსური კვლევა ჩაატარა. კვლევაში მონაწილეობდნენ სწავლულები ჩინეთიდან, აშშ-დან და საფრანგეთიდან. 71 მილიმეტრის ზომის პრიმატი 20-30 გრამს იწონიდა, მიიჩნევენ მეცნიერები. ის ოთხი კიდურით გადაადგილდებოდა, ხშირად ნახტომებსაც ახორციელებდა. მისი პატარა თვალები და წაწვეტებული კბილები ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ის ცხოვრებას დღის სინათლეზე ეწეოდა და მწერებზე ნადირობდა. ადამიანის ადრეული წინამორბედის ჩონჩხი აღმოაჩინეს ქალაქ ცზინჩოუს სიახლოვეს, მდინარე იანძის კალაპოტთან შორიახლოს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ევროპის სასამართლო: „რუსეთი მასხადოვის გვამს არასწორად მოექცა“

რუსეთმა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რიგი მუხლები დაარღვია, როცა მოკლული მებრძოლების გვამები ნათესავებს არ გადასცა, ნათქვამია ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მოსარჩელეებად, 2005 წლის მარტში მოკლული ჩეჩნი სეპარატისტების ლიდერის ასლან მასხადოვის და 55 მებრძოლის ნათესავები გამოვიდნენ; „ბოევიკები“ იმავე წლის ოქტომბერში, ნალჩიკის რაიონში სპეცოპერაციისას დაიღუპნენ.

სასამართლო ვერდიქტის თანახმად, რუსეთი ასლან მასხადოვის დაღუპვაზე პასუხისმგებელი არ არის, აღნიშნავს „ინტერფაქსი“. მიუხედავად ამისა, რუსეთს გვამის ნათესავებისთვის გადაცემაზე ავტომატური უარი არ უნდა ეთქვა. ამით, რუსეთმა დაარღვია მერვე მუხლი (კერძო და ოჯახური ცხოვრების უფლების უპატივცემულობა), მეცხრე მუხლი (აღმსარებლობის თავისუფლება), მეცამეტე მუხლი (ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება) და მეთოთხმეტე მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), აღნიშნულია დოკუმენტში.

სასამართლომ რუსეთის ფედერაციას, სასამართლო ხარჯების დაფარვის სახით, სამთვიან ვადაში 18 ათასი ევროს გადახდა დაავალა.

ჩეჩნების ლიდერი ასლან მასხადოვი, რუსული „ფეესბეს“ სპეცდანიშნულების რაზმმა გროზნოს რაიონში, სოფელ ტოლსტოი-იურტში 2005 წლის მარტში გაანადგურა. მისი გვამის ოფიციალურად ამოცნობის შემდეგ, რუსეთის გენპროკურორის მოადგილემ განაცხადა, რომ ის არ გადაეცემოდა ნათესავებს და დროსა და ადგილზე მათთვის შეტყობინების გარეშე დაიკრძალებოდა.

„მოქმედი კანონმდებლობა მოკლული ტერორისტების მათი ნათესავებისთვის გადაცემას არ ითვალისწინებს“, – ხაზი გაუსვა პროკურორმა. მოსარჩელეებმა ამ გადაწყვეტილების დისკრიმინაციულ ხასიათზე განაცხადეს.

გასულ წელს რუსეთი გახდა ქვეყანა, რომელთან მიმართებაშიც ევროსასამართლომ ყველაზე მეტი საბრალდებო ვერდიქტი გამოიტანა, აღნიშნავს „ბიზნეს ეფემი“.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი უკან დახევას არ აპირებს

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ტაიპ ერდოღანი აცხადებს, რომ მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე მასობრივი პროტესტისა, სტამბოლში მდებარე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქცია გაგრძელდება. „ბიბისის“ ინფორმაციით, თურქეთის პრემიერმა განცხადება ამის თაობაზე ტუნისში გააკეთა. ერდოღანი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში სამი დღის განმავლობაში მართავდა ვიზიტებს, სამშობლოში დღეს ბრუნდება.

საგარეო საქმეთა მინისტრი, აჰმედ დავუთოღლუ თურქეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მსოფლიო თანამეგობრობის რეაქციით უკმაყოფილოა. როგორც თურქული საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუ“ დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით წერს, თურქეთის საგარეო უწყების პირველ პირს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან, ჯონ ქერისთან, სადაც დავუთოღლუმ საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია გააკრიტიკა.

სააგენტოს ინფორმაციით, ეს საუბარი მას შემდეგ შედგა, რაც რამდენიმე ამერიკელმა დიპლომატმა თურქეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მკვეთრი განცხადება გააკეთა.

დავუთოღლუ მიიჩნევს, რომ „ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება მსგავსი გამოსვლები და ეს შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გამოცდა ქვეყნის დემოკრატიული სისტემის“.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამოც, რომ როდესაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ანალოგიური რამ ხდება, ეს განიხილება, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, ხოლო თურქეთში მიმდინარე მოვლენებს აღიქვამენ, როგორც საგანგებო ვითარებას.

„თურქეთი არ შეიძლება ჩაითვალოს მეორეხარისხოვანი დემოკრატიის ქვეყნად“, – აცხადებს დავითოღლუ.

თურქეთში 28 მაისს დაწყებული საპროტესტო გამოსვლები, რომლის მთავარი მოთხოვნა სტამბოლში, ტაქსიმის მოედანზე „გეზი პარკის“ რეკონსტრუქციისა და მის ადგილზე სავაჭრო ცენტრის აშენების შეჩერება იყო, ქვეყნის მასშტაბით მასობრივი არეულობა გამოიწვია. დაშავებული და დაკავებულია ათასობით ადამიანი.

დემონსტრანტები რეჯეფ თაიფ ერდოღანის გადადგომას ითხოვენ, თუმცა პრემიერი პოზიციების დათმობას არ აპირებს.

თურქეთში აქციების დროს პოლიციის არაადეკვატური ქმედებები მკვეთრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა.

ამ ფონზე, ქვეყანაში შეტაკებები გრძელდება. წუხელ პოლიციამ მომიტინგეების დასაშლელად კვლავ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი. სიტუაცია ტაქსიმის მოედანზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც დემონსტრანტები პოლიციის მოწოდებას, გზის გახსნასთან დაკავშირებით, არ დამორჩილნენ. შეტაკების შედეგად რამდენიმე დემონსტრანტი დაშავდა, დემონსტრანტების ნაწილი კი ცრემსლადენი გაზით მოინამლა. აქციის მონაწილეები ხელისუფლებას აკრძალული ცრემსლადენი გაზის გამოყენებაში ადანაშაულებენ.

თურქეთის ადამიანის უფლებადამცველი ასოციაციის განცხადებით, 28 მაისს დაწყებული მასობრივი არეულობებიდან დღემდე, 2 800 დემონსტრანტია დაშავებული, მათ შორის ბევრი საკმაოდ სერიოზულად. პოლიციამ 791 ადამიანი დააპატიმრა, თუმცა ამ დროისთვის დაახლოებით 500 გათავისუფლებულია.

სამგლოვიარო განცხადებები

ბიძაშვილი ჟუჟუნა მაღრაძე, სიძე გივი ჭყოიძე შვილებით და მათ ოჯახებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მათი საყვარელი და სათნო მანდილოსანი

ნანული მაღრაძე-ქინქლაძისა

ანატოლი ქანთარია ოჯახით იუწყება, რომ 68 წლის ასაკში ქ.სამარაში გარდაიცვალა მისი ძმა

ქანდიდ გიორგის ძე ქანთარია

დაკრძალვა: 7 ივნისს, ქ. სამარაში.

მარინა და დემურ კეკელიები თანაუგრძნობენ თინათინ გაგილაძისა და ანატოლი ქანთარიას ოჯახს ძმის

ქანდიდ ქანთარიას

გარდაცვალების გამო.

შვილები ლუიზა, ელისო და მარინა ბერიკაშვილები ოჯახებით, შვილიშვილები გიორგი და ლაშა ქასრაშვილები, ირაკლი გოგოლიძე და სალომე ლევერაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოგია (გიორგი) ბერიკაშვილი

პანაშვიდი 6 და 7 ივნისს.
დაკრძალვა 8 ივნისს, 15 საათზე.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გაზეთ „უხუცესთა მაცნეს“ რედაქტორის ოთარ სტაჟაძის მოგონება

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წავიდა გაზეთ „უხუცესთა მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, ბატონი ოთარ სტაჟაძე, ადამიანი სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე. ბატონი ოთარი იყო მაღალი დონის პროფესიონალი ჟურნალისტი, მისი მოღვაწეობა და ქმედება გამომდინარეობდა გაჭირვებაში მყოფი, სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების ინტერესიდან, მათი დაკმაყოფილებიდან. ბატონმა ოთარმა თავისი ბუნებრივი კეთილშობილებით, თავაზიანობით, ინტელექტით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა არა მარტო პენსიონერთა კავშირში, არამედ მთელ საზოგადოებაში.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ბატონი ოთარ სტაჟაძის დიდ დამსახურებას საქართველოს პენსიონერთა კავშირის შექმნაში. ის იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ამ ორგანიზაციის. სისტემატურად აშუქებდა პენსიონერთა სოციალური და მორალური მდგომარეობის შესახებ და სხვადასხვა კონკრეტულ ღონისძიებებს, ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბატონი ოთარ სტაჟაძე დააკლდა არა მარტო მის ოჯახს, არამედ ყველას, ვინც კი იცნობდა მას, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა მწუხარებით იხსენებს მის დიდ დამსახურებას ხანდაზმული ადამიანების მიმართ.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი 7 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** „მოამბე„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) **12.45** „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) **15.00** ტ/სერ „ჟორიკანა„ **17.00** „საუკუნის პორტრეტები„ **17.30** „ეთნოგრაფიული ჩანახატები„ **18.00** დ/ფ „ეგვიპტიდან„ **19.05** ტ/სერ „სიყვარული და შურისძიება„ **21.00** „აქცენტები„ **22.00** ტ/სერ „ნიკოლა ლე ფლოკი„ **23.00** „წითელი ზონა„ **00.00** მხ/ფ „სიყვარულის ახსნა„ (ტიტ.) **02.00** „დღეს ორის ნახევარზე„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) **09.00, 19.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **10.00, 12.00, 15.00, 17.00, 22.00** „ბრიფინგის დრო„ **10.30** „არგუმენტების დრო„ (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00** დ/ფ „მუზეუმის საიდუმლეობანი„ მე-4 ნაწ. **16.00** დ/ფ „ალენ ბაშუნგი„ **20.00** ფეხბურთი: 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა — ფინეთი — ბელორუსია I – II ტაიმი (პ/რ) **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. „დაუვიწყარი„ **11.20** სერ. „მაფიის ქვრივი„ **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. „ბაბნატეგი„ **18.50** სერ. „აკრძალული სიყვარული„ **21.00** სერ. „მარტოსული„ **22.00** თოქ შოუ– ღია ეთერი (პ/ე)**00.15** მხ/ფ „კარგ კომპანიაში„ (ს.იოჰანსონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. „სიყვარული მშვენიერია„ **11.00** სერ. „იდუმალი ქალი„ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** „შუა დღე„ **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ)**17.00** სერ. „ვნების უფსკრული„ **18.45** სერ. „ცრემლების გვირგვინი„ **20.05** სერ „ერთგულების ძალა„**20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.20** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **06.45** მხ/ფ „ანა და მეფე„ II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** „განთიადი„ **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** სახარება-ოთხთავის წმ.გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ (ე.ჭელიძე) **10.55** მოკ/ფ „ჰოპი„ **11.25** ნიამორი **11.45** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში„ **13.30** „შუადღე„ ერთსულოვნებაზე **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** დოკ/ფ „ველური ბუნება„ **16.10** საუბრები ლიტერატურაზე **16.40** კონცერტი - ედიშერ სავიცკი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ „ხევსურული ბალადა„ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „ჯგრაგი„ **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ჩვენი ბიბლიოთეკა

მაესტრო **7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00** ახალი ამბები **11.00, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.50, 23.00, 3.30** თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** „მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00, 6.00** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.00** სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30, 5.30** „ყოველდღიური აბები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 ივნისი

- აშშ დოლარი — 1,6495
- ევრო — 2,1462
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5158
- 100 რუსული რუბლი — 5,1469

ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის

29 მაისიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 3

ბრაზილიური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

ასტროპროგნოზი 7 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ვერძი — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. ** კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **კირჩხიბი** — საღამო მშვენიერი იქნება. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — ახალ სამსახურში თავს კარგად იგრძნობთ, ფულიც გექნებათ. **მშვილდოსანი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თხის რქა** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, საერთოდ არ გაქვთ პრობლემა. **მერწყული** — თქვენს ცხოვრებაში სიახლეა, გიხარიათ. **თევზები** — გზიდან ფული და საჩუქარს მიიღებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი 2

შვეულად: 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 12. საავტომობილო საბურავების გამომგონებელი ირლანდიელი მექანიკოსი; 14. გურულების, აჭარლების, მესხების ძველებური ტანსაცმელი; 15. სუმოისტთა ტურნირი, შეჯიბრი იაპონიაში; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 13. ბერიკაობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. იტალიური, ტკბილი სადესერტო ღვინო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



მაიკლ ჯექსონის 15 წლის ქალიშვილმა თვითმკვლელობა სცადა

მაიკლ ჯექსონის 15 წლის ქალიშვილმა თვითმკვლელობა სცადა-იუწყება „სანი“.

პერის ჯექსონი საავადმყოფოში ადგილობრივი დროით 02:00 საათზე, მარჯვენა ხელზე ვენაგადაჭრილი მიიყვანეს. სუიციდის მცდელობის მიზეზი ის იყო, რომ გოგონა ოჯახმა მერლინ მენსონის კონცერტზე არ გაუშვა.

გოგონას დედა დები როუ აცხადებს, რომ პერისმა უბრალოდ ყველაფერი გულთან ახლოს მიიტანა. მისი თქმით, ის ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ბოლო დროს პერის ჯექსონის ტვიტერის მიკრობლოგზე შეინიშნებოდა გოგონას არასტაბილური და დათრგუნული მდგომარეობა, რაც მისი სტატუსებით გამოიხატებოდა – აღნიშნავს გამოცემა.

ტვიტერის მიკრობლოგში შემდეგი ჩანაწერია დატოვებული: „გუშინ ჩემი პრობლემები ასეთი შორეული იყო, ახლა კი ასე ახლოსაა“.

„ახლა პერისი ფიზიკურად თავს კარგად გრძნობს და საჭირო სამედიცინო დახმარებას იღებს“, აცხადებს ოჯახის ადვოკატი პერი სანდერსი.

გადაწყვეტილია, რომ პერისი 72 საათის განმავლობაში ფსიქიატრის დაკვირვების ქვეშ იქნება.

ახლობელი ადამიანების ცნობით, გოგონა დღემდე განიცდის მაიკლ ჯექსონის გარდაცვალებას, რომელიც „მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო“.

გ. მ.

კახი კავსაძესა და გივი ბერიკაშვილს ხელის ანაბეჭდები გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის „უკვდავთა თაღში“ ყველასთვის საყვარელი მსახიობების კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ხელის ანაბეჭდების მემორიალი საზეიმოდ გაიხსნა. იუმორი მსახიობებს არც ამ შემთხვევაში დავიწყებიათ და მათ ერთმანეთის ხელების ანაბეჭდები გახსნეს – გივი ბერიკაშვილმა კახი კავსაძის ანაბეჭდებს მოხსნა თეთრი ტილო, კახი კავსაძემ კი – გივი ბერიკაშვილისას. იუბილარ მსახიობებს ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა უმღერეს, მათ შორის, თამრიკო ჭოხონელიძემ, ნატო მეტონიძემ, იმღერეს თავად იუბილარებმაც. საღამო მუსიკალურად ნიკოლოზ რაჭველმა და მისმა მუსიკოსებმა გააფორმეს.

მუზეუმში გამართული ღონისძიება კახი კავსაძის 78 წლის და გივი ბერიკაშვილის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა და ის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო. იუბილარმა მსახიობებმა ხელოვნების სასახლეში დაგებულ წითელ ხალიჩაზე თეთრებში გამოწყობილებმა გაიარეს, არაერთი მილოცვა მიიღეს, ბევრ სტუმარს უმასპინძლეს და მათი იუბილეს აღსანიშნავად ფოიერვერკიც გაუშვეს.

გივი ბერიკაშვილის და კახი კავსაძის იუბილეების მისალოცად ხელოვნების სასახლეში მათი ოჯახის წევრები, კოლეგები, მეგობრები, მათი შემოქმედების თაყვანისმცემლები მივიდნენ. მსახიობებისთვის იუბილეს მისალოცად მუზეუმში საქართველოს პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე მივიდნენ. ამ თარიღის მისალოცად მუზეუმში შეიკრიბნენ რეზო ჩხეიძე, ლევან წულაძე, ჯემალ ღაღანიძე, ჯემალ ბაღაშვილი, აკაკი ხიდაშელი, ეკატერინე მაზმიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ხელოვანები. საღამოზე იმყოფებოდა თიბისი ბანკის ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძეც, სწორედ თიბისი ბანკის მხარდაჭერით მოეწყო ეს ღონისძიება. იუბილარმა მსახიობებმა საჩუქრებიც მიიღეს. გულწრფელი მილოცვების გარდა, მათ კულტურის სამინისტრომ დიდოსტატის ორდენები გადასცა, თბილისის მერიამ კი – ფულადი პრიზები.

ხელოვნების სასახლის ეზოში გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ოჯახუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბრაზილიაში სკანდალურ ინტერნეტ-კამპანიაზე უარი თქვეს

ბრაზილიის ჯანდაცვის სამინისტროს ახსნა-განმარტების გაკეთება მოუწია მას შემდეგ, რაც მის საიტზე გაჩნდა რეკლამა „ბედნიერ მეძავებზე“. ვენერიულ დაავადებებთან ბრძოლის კამპანია უძველესი „პროფესიის“ „ქება-დიდებად“ იქნა შეფასებული, იტყობინება „გლობო“.

სარეკლამო კამპანია, რომლის მიზანი მეძავების იძულებაა, რომ ექიმებთან მიმართვის არ ეშინოდეთ, 2 ივნისს, პროსტიტუციის საერთაშორისო დღეს სტარტი აიღო. მის ფარგლებში, ქვეყნის ჯანდაცის სამინისტროს საიტზე გამოჩნდა პროსტიტუტების გამოსახულებები სლოგანებით – „ბედნიერი ვარ მეძავეობით“ და „სიყვარულო, ჩემთან პრეზერვატივის გარეშე შეხვედრა შეუძლებელია“

საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია ფრაზამ „ბედნიერ პროსტიტუტებზე“. საჩივრით ძირითადად ევანგელისტები გამოდიოდნენ. ასევე წინააღმდეგ გამოვიდნენ კონსერვატიულად განწყობილი კონგრესმენები. „ვერავინ იქნება ბედნიერი იმით, რომ მას სექსუალურ ექსპლუატაციას უწევენ“, – ამბობს დეპუტატი ლილიამა სა. მან ასევე დაამატა, რომ „ჯანმრთელი მეძავების“ პროპაგანდა აუცილებელია, მაგრამ ასეთი ტიპის არა“.

ბრაზილიის ჯანდაცვის უწყება „შიდსთან“ ბრძოლის კამპანიაზე უარის თქმას არ აპირებს. მთავარი პროპაგანდისტული ლოზუნგი შემდეგნაირად შეიცვლება – „პრეზერვატივის გამოყენების არ მრცხვენია“, – წერს ბი-ბი-სი.

ბრაზილიის ხელისუფალნი უახლოეს დროში, ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან და 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით სექს-ინდუსტრიის „აყვავებას“ ელიან. უძველესი პროფესიის წარმომადგენლები ასევე ელიან მოთხოვნის ზრდას მათ მომსახურებაზე. ბევრი მათგანი ინგლისურის უფასო კურსებზე ჩაეწერა იმ იმედით, რომ ეს მათ უცხოელ სტუმრებთან ურთიერთობაში დაეხმარება, აღნიშნავს „სიენენი“.

გ. მ.

მინისტრმა ფედერაციას მინიშნებები მისცა

როგორც იცით, 8 კლუბმა უარი განაცხადა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსგან ვერ მიიღებენ 2 მილიონ ლარს ანუ იმ თანხას, რომელიც გორის „დილამ“ მიიღო.

ამის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა გააკეთა განცხადება, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც „გაჰკრა კბილი“.

ლევან ყიფიანი:

– საქართველოში საფეხბურთო პროექტი 20 წელია არ მინახავს. კლუბებს იდეაც არ ჰქონიათ. მსგავს საკითხებზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უნდა იყოს მოწადინებული და არა ჩვენი სამინისტრო. მაშინ, როცა 20 წელია არაფერი გაკეთებულა, მსგავს პროექტებს 6 დღეში და ერთ თვეში ვერ გააკეთებ. ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ კლუბების დაფინანსება ბიუჯეტიდან ამ ზაფხულსვე მოხდება. ამის რესურსი არ არსებობს და მე არასოდეს მითქვამს, რომ ეს წლეულსვე მოხდებოდა. დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს დროთა განმავლობაში. სპორტის სამინისტრო ფიზიკურად ვერ იძლევა ფინანსებს. „დილა“ დაფინანსდება მუნიციპალიტეტიდან. გუნდი გადის ევროპის ლიგაში და ამ შემთხვევაში სახელმწიფოსგან გამართლებულია მისი დაფინანსება, რადგან საქართველოსთვის ევროტურნირებზე ამ კლუბის ვერგამოსვლა უფრო დიდი სირცხვილი იქნებოდა, ვიდრე მისი დაფინანსება. ამიტომაც ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ თუ „დილა“ ფინანსდება, სხვა კლუბები რატომ ვერ იღებენ სახსრებსო. მუნიციპალური დაფინანსება იყო და იქნება, იმისდა გათვალისწინებით, ვისაც რა საშუალება იქნება. ფედერაციის ფუნქციებს კი ჩვენ ვერ შევითავსებთ. ეს გუნდები, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, ყოველთვის იყვნენ სახელმწიფოს ფულისჭამია კლუბები და მე მოვუწოდებ ფედერაციას, რომ შეამოწმოს ეს კლუბები, შეუშვას იქ აუდიტი, მოხდეს მათი შემოწმება და ამის შემდეგ სწორად ხარჯონ ფული.

მ. ჟ.